# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№78 (9758) 2024 წლის 3 ივლისი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


# ფეხბურთმა საქართველო გააერთიანა!






**წუხელ, ღამის 12 საათზე თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ჩვენს საამაყო ბიჭებს და მთელ სამწვრთნელო შტაბს ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით ღირსების ორდენები გადაეცათ! სულ ღირსებით და გამარჯვებით გევლოთ, თავისუფალი საქართველოს საამაყო შვილებო!**

## სამშობლო გულში იხუტებს...

**წინამორბედ ფეხბურთელთა გაკვალული გზა მეტსაც შეგაძლებინებთ, ბიჭებო!** იხ. მე-9 გვ.

**ეს რა იდიოტი ყოფილა ბახარიას აქტივისტი ლევან გოგიჩაიშვილი!!!**



**უხარია, იმის მაგივრად, რომ გული ეტკინოს!**

6




3

## სექსუალური სიმახინჯე ატომური ბომბების ნაცვლად

## დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება



ერთიანი ეროვნული გამოცდები დღეს დაიწყო – ცენტრები მზად არის აბიტურიენტების მისაღებად. პროცესი ხვალ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო და 26 ივლისს ფიზიკით დასრულდება.

ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი, ხულო და ამბროლაური – ეს ის ქალაქებია სადაც საგამოცდო ცენტრები იქნება გახსნილი.

თბილისის მერიის გადაწ-ყვეტილებით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ საგამოცდო პერიოდში მუნიციპალური ავტობუსების დამატებითი მარშრუტებიც დაინიშნება.

## ულტრალიბერალური სიგიჟეების ექსპორტი უნდა შეჩერდეს, ომები შეწყდეს!




4

საქართველოს რესპუბლიკა
ჩვენ
№78. ოთხშაბათი, 3 ივლისი, 2024 წელი

აჭარიდან კარგი ამბები ისმის

# გალა-კონცერტი „აფხაზეთისთვის“



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გალა-კონცერტი „აფხაზეთისთვის“ გაიმართა.**

ღონისძიების ფარგლებში, მაყურებლის წინაშე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა, ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ნართები“, ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სხვა შემსრულებლები წარდგნენ.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ნანა გაბელია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აფხაზეთისა და აჭარის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და აჭარაში მცხოვრები აფხაზები ესწრებოდნენ.

კონცერტი აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა, რომელიც 23 მაისს „აფხაზეთის დღეს“ დაიწყო და სექტემბერში გამყოფ ხაზთან დასრულდება.

# გულწრფელი მადლობა ლევან ზოიძეს!



**თამარ მეფის** სანაპირო N68-ში მცხოვრები 26 ოჯახის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ ქალაქ ქობულეთის მერს, ბატონ ლევან ზოიძეს იმ გულისხმიერებისთვის და თანადგომისთვის, რასაც ჩვენ მიმართ იჩენს.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რამდენიმე ათეული წლის წინ აშენებული სახლი დღეს რა სავალალო მდგომარეობაშია, რომლის რეაბილიტაციაც შეუძლებელია და სიცოცხლისთვის საშიში გახდა აქ ცხოვრება...

ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ მოლაპარაკება ვაწარმოეთ სამშენებლო კომპანიასთან და ძალიან მალე გვაქვს იმედი, რომ ჩვენც ახალაშენებულ კორპუსში ღირსეულად ვიცხოვრებთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ბატონი ლევანის თანადგომა უმნიშვნელოვანესია და უფრო მეტ იმედს გვიჩენს, რომ ეს წამოწყება უმოკლეს ვადებში ფრთებს შეისხამს.

ენით აღუწერელია თითოეული ოჯახის სიხარული.

ყველას სახელით დიდი მადლობა ჩვენი ქალაქის თავკაცს.

ბატონო ლევან, თქვენი იმედი და გვერდში დგომა არ მოეშალოს ქალაქს!

ჩვენ კი ყველა სასარგებლო წამოწყებაში თქვენ გვერდით გვიგულეთ!

ვამაყობთ თქვენით! გმადლობთ!

**ქ. ქობულეთი,**
**თამარ მეფის სანაპირო N68-ის მცხოვრებლები.**

# თბილისელი ბათუმელების წერილი რედაქციას

**ძალიან გვესიამოვნა ბათუმში 500 ოჯახის ბინით დაკმაყოფილება, ისიც სასიამოვნოა, რომ ბათუმს შეემატა ახალი ლამაზი ბულვარი...**

მაგრამ ისიც საგულისხმოა, როდის დასრულდება ბათუმში შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც მოაწესრიგებს დიდი ტრაილერების შუა ბათუმში მოძრაობის პრობლემას.

ისიც ძალიან გვაინტერესებს, იგეგმება თუ არა „ბენზეს“ დასახლების მოწესრიგება? თუ ეს მალე მოხდება, ბათუმს ზღვისპირეთში ბადალი არ ეყოლება.

დაბოლოს, დაადგება თუ არა საშველი ცენტრალური გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთს?!

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვთხოვთ, ოპერატიულად გვიპასუხოს ამ ელემენტარულ შეკითხვებზე!

თბილისელი ბათუმელების სახელით

**გოჩა ჩარკვიანი,**
**გიორგი ცივაძე,**
**ედიშერ გობრონიძე.**
20 ივნისი, 2024 წელი.

**რედაქციისგან: ძვირფასო ბათუმელებო, 28 ივნისს საქართველოს პრემიერმა კონკრეტულად ილაპარაკა აჭარის მშენებარე პროექტებზე და ხაზგასმით თქვა, რომ ბათუმის შემოვლითი გზა უახლოეს დღეებში გაიხსნება! ბენზეს დასახლებაც ადგილობრივი ბიუჯეტით მოწესრიგდება. სამტრედია-გრიგოლეთის ცენტრალური გზის მშენებარე მონაკვეთი, ფაქტობრივად, დამთავრებულია!**

**ასე რომ, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ნაცვლად ჩვენ გპასუხობთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვებზე.**

**სულ მშვიდობით და წარმატებით ევლოს საქართველოს, აჭარას და თითოეულ ბათუმელს!**




# უცხო ქვეყნის 26 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში სხვადასხვა ქვეყნის 26 მოქალაქე ქვეყნიდან გაძევეს.**

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იძულების წესით გააძევეს ქვეყნიდან.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ქვეყნიდან გააააძევეს: ირანის ისლამური რესპუბლიკის, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის, იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს, ერაყის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინდოეთის რესპუბლიკის და სხვა უცხო ქვეყნების 26 მოქალაქე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მის ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელება.

# სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 2 პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ბათუმის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „კირნათის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე – 1992 წ. დაბადებული ა.ა და 1994წ. დაბადებული მ.ა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დააკავეს. დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ჯგუფურად, უკანონოდ ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარის გადაკვეთას.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთის მცდელობას გულისხმობს.

# მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით აღურიცხავი სიგარეტი აღმოაჩინეს

**მიმდინარე წლის ბოლო ორი კვირის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „ნინოწმინდა“, „ვალე“, „სადახლო-საავტომობილო“ და „ლაგოდეხი“, დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.**




– ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა რისკის პროფილისა და ეჭვის საფუძველზე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 33 180 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს, ფულადი ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით შეეფარდათ, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-31 ნაწილის შესაბამისად, 3 კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, სრულად ჩამოერთვა საქონელი და ვინაიდან ქმედება განმეორებით იყო ჩადენილი, თითოეულს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით შეეფარდა, ხოლო ერთი კანონდამრღვევი მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# 14 წლის აითაჯ შახმაროვას მკვლელობაში ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

**გადაწყვეტილება თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მამუკა წიკლაურმა მიიღო.**



აითაჯ შახმაროვას განზრახ მკვლელობის საქმეზე, მკვლელობაში ბრალდებული ასიმ სადიკოვი ოთხი მუხლით გაასამართლეს – მე-11 პრიმა 109-ე მუხლი, რომელიც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს; 143-ე – თავისუფლების უკანონო აღკვეთა; 140-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის შეღწევას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და 236-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებას.

ამავე საქმეზე რამდენიმე პირია დაკავებული, მათ შორის, აითაჯის დედა და ბიძა.

# სექსუალური სიმახინჯე ატომური ბომბების ნაცვლად




**პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ყბადაღებული კანონი „ოჯახური ღირებულებების შესახებ". მისი მეორე მოსმენა და მიღება შემოდგომისთვის გადაიდო. საკითხის განხილვას რადიკალური ოპოზიცია არ დასწრებია, იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, განხილვა ერთი დღით გადაიდო, იქნებ ოპოზიციამ პარლამენტში მობრძანება და აზრის გამოთქმა ინებოსო.**

შემეძლო ეს ინფორმაცია აქ დამესრულებინა, მაგრამ საქმე ასე უბრალოდ არ არის. შეგახსენებთ, რომ ცხრა წლის წინ, 2015 წლის 26 ივნისს ჩვენს დიდ მეგობარ აშშ-ში მთელი ქვეყნის მასშტაბით დააკანონეს ერთნაირსქესიანთა ქორწინებები და სქესის შეცვლა არასრულწლოვანთათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გადაწყვეტილებას აშშ-ში ტრანსგენდერული აფეთქება მოჰყვა – მათი რაოდენობა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ათჯერ გაიზარდა! 2024 წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, აშშ-ში Gen Z თაობის (ზრდასრული ახალგაზრდობა) თითქმის 30 პროცენტი თავს ლგბტქ+ მოძრაობასთან აიგივებს.

მეტიც, კალიფორნიის შტატში დაამტკიცეს კანონპროექტი, რომლის თანახმად, არასრულწლოვანს უფლება აქვს, სამართალდამცავ ორგანოებს შეატყობინოს შვილის „გაპედერასტების" მოწინააღმდეგე „ურჩი" მშობლის შესახებ, რომელსაც სასჯელად მშობლის უფლებების ჩამორთმევა დაემუქრება.

გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ დასავლური თანასწორობა-დემოკრატიის მადიდებელი ჩვენი რადიკალური ოპოზიცია ამ კანონის მიღებას ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგება. ვითარება გაცილებით მარტივია: ოპოზიციამ იცის, რომ მრავალი მიზეზის გამო, ლგბტ თემის მართვა, მისი ქმედების შენი კარნახით დაგეგმვა ძალიან ადვილია; რაც მთავარია, ქართული რადიკალური ოპოზიცია (რომელსაც გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, არავითარი კავშირი არა აქვს ქართულობასთან!) ასრულებს ამერიკელი „მეგობრების" მითითებას.

ქალისა და ქალის, კაცისა და კაცის ქორწინებებზე, პროსტიტუციის გაღმერთებასა და ოჯახური ურთიერთობების განადგურებაზე თავდაუზოგავი ზრუნვა სულაც არ გახლავთ რაღაც ფატალური შეცდომა ან ადამიანების თავისუფლებაზე ზრუნვა. როგორც ვთქვი, ასეთი გონებრივად გადაგვარებული ადამიანების მართვა ადვილია და, რაც მთავარია, ოჯახის, ტრადიციული სექსუალური ურთიერთობების ტრანსგენდერიზმით ჩანაცვლება მომენტალურად გამოიწვევს ადამიანების რაოდენობის უომრად, უდანახარჯებოდ კატასტროფულ შემცირებას მსოფლიო მასშტაბით.

ცალკე მსჯელობის საგანია, რატომ ესწრაფვის ამას მეგობარი ამერიკა და ევროპა.

**თეიმურაზ ქორიძე**

# ... ცხვრის ქურქში გახვეული მგელი



**პარგია, როცა თვითლუსტრაციას მიმართავენ. დაინახეს, რომ ჩრდილიდან პოლიტიკის წარმართვა არაეფექტურია, სრულად გაშიფრულები არიან, მათი არასამთავრობო ორგანიზაციაში ყოფნა იყო ცხვრის ქურქში გახვეული მგელი, – ამის შესახებ „ქართული ოცნების" წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.**

„პოლიტიკურ ფლანგზე გამოვიდნენ და ვნახოთ, როგორი შედეგები ექნებათ. მსოფლიოს წამყვანი პროფესიული კვლევითი ორგანიზაციების დასკვნები აილონ საქართველოს შედეგებზე და იმ ქვეყნებს შეადარონ, რომლებსაც მისტირიან, მათ შორის, მოლდოვას. ნახავენ, სიტყვას ვინ ასრულებს და ვინ – არა. არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა იყო პოლიტიკური პროცესის ჩვეულებრივი დანამატი და კარგია, რომ ამ პროცესის ოფიციალური მონაწილეები გახდნენ, მაგრამ აქაც ორმაგი სტანდარტია, მათი ნაწილის ხელმძღვანელი პოლიტიკოსია, ხოლო თავად ორგანიზაციები იტყვიან, არასამთავრობოები ვართო"...

# ტრამპი ამაყობს, რომ ამერიკელია!

**ვამაყობ, რომ ამერიკელი ვარ, – ასე ეხმაურება აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი უზენაესი სასამართლოს მიერ მის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.**

„დიდი გამარჯვება ჩვენი კონსტიტუციისა და დემოკრატიისთვის. ვამაყობ, რომ ამერიკელი ვარ", – წერს ტრამპი სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის უზენაესმა სასამართლომ ყოფილ პრეზიდენტს ოფიციალურ ქმედებებზე სისხლის სამართლებრივი დევნისგან აბსოლუტური იმუნიტეტი მიანიჭა. აბსოლუტური იმუნიტეტი ვრცელდება ყველა იმ ოფიციალურ ქმედებაზე, რომელიც მათ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს განახორციელეს. თუმცა იმუნიტეტი არ ვრცელდება არაოფიციალურ, პირადი ხასიათის ქმედებებზე, ხოლო ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მოუწევთ, თავად გამიჯნონ პრეზიდენტის ოფიციალური და არაოფიციალური ქმედებები.



# თურქეთმა, ბულგარეთმა და რუმინეთმა შავ ზღვაში განაღმვითი ოპერაციები დაიწყეს

**თურქეთმა, ბულგარეთმა** და **რუმინეთმა** შავ ზღვაში მცურავი გემების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით უკრაინის საექსპორტო მარშრუტების უსაფრთხოების მიზნით, შავ ზღვაში ერთობლივი განაღმვითი ოპერაციები დაიწყეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „ბლუმბერგი" ავრცელებს.

განაღმვითი ოპერაციების ჩატარება თურქეთის ინიციატივაა.

თურქეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა შავი ზღვის მოდრეიფე ნაღმებისგან გაწმენდის შესახებ შეთანხმებას მიმდინარე წლის 11 იანვარს მოაწერეს ხელი. ბულგარეთის მთავრობის განცხადებით, ნაღმების საწინააღმდეგო საზღვაო ჯგუფის საქმიანობა არ იქნება მიმართული რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ და ოპერაცია, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს მონაწილეებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების გაუმჯობესებას.

# სატირა(ლი) ამბები

## არ მეგონა, გიორგი გახარია თუ ასე დაბლა დაეცემოდა და იატაკს ქვემოთ ჩავარდებოდა!

– **არ** მეგონა, გიორგი გახარია თუ ასე დაბლა დაეცემოდა და ნულს ქვემოთ, იატაკს ქვემოთ ჩავარდებოდა. რა სისულელეებს ლაპარაკობს! რა შიკრიკი?! ბატონი გახარია ზრდილობასთან ერთად, ლოგიკასაც მოისაკლისებს!..

– სპეციალურ სტრუქტურებს – თავდაცვის სამინისტროს, უსაფრთხოების სამსახურებს შორის ძალიან ინტენსიური, მჭიდრო ურთიერთობები არსებობს, რაც მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს არ ეხება. ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს ტერორიზმთან ბრძოლის, სხვადასხვა საფრთხის დაძლევის მიმართულებით. თუ ლილუაშვილი აშშ-ში ამასთან დაკავშირებით იმყოფებოდა, არ ვიცი, ამას შიკრიკი რატომ ჰქვია. უშიშროების სამსახურს რაც ევალება, იმას აკეთებს", – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ცნობისთვის, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ „ბიძინა ივანიშვილს ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობის წარმომადგენელი შიკრიკად ჰყავს გაგზავნილი".



**გია ვოლსკი**

## სააკაშვილის „პოლიტპატიმრობა" სტრასბურგის სასამართლოს შეურაცხყოფაა

**საპარლამენტო** უმრავლესობის წევრის რატი იონათამიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის პოლიტპატიმრობაზე საუბარი სტრასბურგის სასამართლოს და კანონის უზენაესობის შეურაცხყოფაა.

იონათამიშვილმა კომენტარი გააკეთა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის თინა ბოკუჩავას განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური ნიშნით იმყოფება პატიმრობაში

„ნაციონალური მოძრაობა" დეზინფორმაციის გავრცელებას არ ეშვება, დეზინფორმაცია მათი სამარკო ნიშანია. მაშინ, როცა არსებობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ სააკაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეა, მის პოლიტპატიმრობაზე საუბარი შეურაცხყოფაა როგორც სტრასბურგის სასამართლოსი, ასევე კანონის უზენაესობის. ამ ადამიანებს მოუწევთ იმ ტვირთით სიარული, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან მთავარ ევროპულ ღირებულებას – სტრასბურგის სასამართლოს. ისინი არიან კანონის უზენაესობის მტრები. მათი მიზანია საქართველოს დაზიანება და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მხოლოდ საკუთარ თავებს აზიანებენ. მათი სიცრუის გამოა, რომ ამომრჩეველს ყოველდღე კარგავენ...



**რატი იონათამიშვილი.**

## საქართველოში არის „ვენესუელის სცენარის" ნიშნები...

– **ვენესუელა** განაახლებს პირდაპირ მოლაპარაკებებს შეერთებულ შტატებთან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აღდგენის მიზნით. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა. არადა, სულ რაღაც 3,5 წლის წინათ აშშ-მა (და მისი ზეგავლენით ევროპამ) ვენესუელის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არ აღიარა და დროებით პრეზიდენტად ოპოზიციის ლიდერი ხუან გუაიდო ცნო. ამერიკელები ერთხანს ეკურკურებოდნენ გუაიდოს, როგორც ვენესუელის „გარდამავალ პრეზიდენტს," უკვე ლიდერად მიიჩნევდნენ და ქვეყანაში დემოკრატიის დაბრუნებაზე საუბრობდნენ... ანუ დაახლოებით ის რიტორიკა, რაც დღეს მათგან საქართველოს მიმართ ისმის, თუმცა, ვენესუელის საზოგადოება და მისი სახელმწიფო ინსტიტუტები რომ იტყვიან მაგრად დადგნენ, გაუძლეს არნახულ ზეწოლას, სანქციებს და ქვეყანა არ დაანებეს გარე ძალებს და მათ დიქტატს. „მე მხარს ვუჭერ დიალოგს, ურთიერთგაგებას, ჩვენი ურთიერთობების მომავალს, ცვლილებას ვენესუელას სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სრული პატივისცემით", – აღნიშნა მადურომ.

მე ვერ გეტყვით ზუსტად, განმეორდება თუ არა საქართველოში „ვენესუელის სცენარი," თუმცა არის ამის გარკვეული ნიშნები. არადა, რა სცენარებიც არ უნდა მოქსოვონ „იქ", ხალხის ნებას წინ ვერ აღუდგებიან. ვენესუელა ამის ძალიან თვალსაჩინო მაგალითია...



**ზაალ ანჯაფარიძე**



# ულტრალიბერალური სიგიჟეების ექსპორტი უნდა შეჩერდეს, ომები შეწყდეს!..

## „არჩევნების დროს „მეხუთე კოლონა“ საკმაოდ რადიკალურად იმოქმედებს, მაგრამ მის მიმართ კანონიც ასევე რადიკალური იქნება“

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის ირაკლი გოგავას შეფასებით, ვინაიდან ქვეყანაში ნორმალური ხელფასის მიღების სხვა გზა არ არსებობდა, დასავლური გრანტების მიღების მიზნით, 26 000 არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა. შედეგად, პრივილეგირებული არასამთავრობო სექტორის მთელი კასტა ჩამოყალიბდა, რომელიც უცხოურ გრანტებს რეგულარულად იღებს, მაღალი ხელფასები აქვს და მხოლოდ ერთი რამ ევალებათ – უცხო სახელმწიფოების დავალებები შეასრულონ. ეს დავალებები კი ხშირად საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ ემთხვევა.

**– როგორ იკრებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები ძალას საქართველოში? რამდენი დაიხარჯა და რა გაკეთდა ქვეყნისთვის?**

**ირაკლი გოგავა:** 1995 წელს ქვეყანა ეთნოკონფლიქტებისა და სამოქალაქო დაპირისპირებიდან ახალი გამოსული იყო, როცა საქართველოში მდიდარი დასავლური ფონდები შემოვიდნენ. ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ეკონომიკა გაჩერდა, არადა ჯერ კიდევ 1988 წელს საქართველო 970 მლნ პირობით ქილა კონსერვს უშვებდა და 260 მილიარდი დოლარის ღირებულების მრეწველობა გააჩნდა. ეს ყველაფერი ორ წელიწადში გაჩერდა, უმუშევრობა სწრაფად გაიზარდა, ხელფასები კი 10-20 დოლარი იყო.

დონორმა ორგანიზაციებმა ასეთ დამშეულ ქვეყანაში გრანტების დარიგება დაიწყეს, სადაც ხელფასები 1000 დოლარს შეადგენდა, ამას უცხოეთში უფასო მივლინებები, კონფერენციებზე, სემინარებზე, მიღებებზე დასწრება ემატებოდა. 1996 წელს ულტრალიბერალური „თავისუფლების ინსტიტუტი“ შეიქმნა. მაშინ უცხოური სპეცსამსახურები საქართველოში რელიგიური სექტის – „იეღოვას მოწმეების“ პოპულარიზაციით იყვნენ დაკავებულნი და „თავისუფლების ინსტიტუტს“ სწორედ მათი დაცვა დაევალა და ამისთვის დიდ გრანტებსაც იღებდა.

**– ვინ წყვეტდა, რაში და სად უნდა დახარჯულიყო გრანტი?**

– გრანტის გამცემები მიმართულებებს თავად აყალიბებდნენ, ანუ არასამთავრობო სექტორის დღის წესრიგს ისინი განსაზღვრავდნენ. თავიდან იყო მედიის და ჟურნალისტიკის გაძლიერების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მხარდამჭერი, ადამიანის უფლებების, ეკოლოგიური პროექტები. მას შემდეგ, დასავლური გრანტების მიღების მიზნით, 26 000 არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა, რომლებსაც მხოლოდ ერთი რამ ევალება – უცხო სახელმწიფოების დავალებები შეასრულოს. ეს დავალებები კი ხშირად საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ ემთხვევა.

თავიდან მოლოდინი იყო, რომ ჭეშმარიტად ძლიერი სამოქალაქო სექტორი და თავისუფალი მედია ქვეყნისთვის, როგორც სამოქალაქო კონტროლის მექანიზმი, სასარგებლო იქნებოდა. შემდგომში პროცესმა სხვა ხასიათი მიიღო და ქვეყანას არასამთავრობო სექტორის მხრიდან დიდი ზიანი მიადგა.

**– რა ზიანს გულისხმობთ?**

– უცხოურ გრანტებზე მყოფი ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ბეჯითად შეასრულებდა უცხოურ დღის წესრიგს, რადგან ასე მეტ ფულს მიიღებდნენ. სამოქალაქო სექტორი დასავლეთისთვის აგენტურული კადრების სამჭედლო გახდა. პოლიტიკურ სპექტრს რომ გადახედოთ, ბევრს დაინახავთ „თავისუფლების ინსტიტუტიდან“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან“, „სამართლიანი არჩევნებიდან“ და სხვა ორგანიზაციებიდან.

ქვეყანაში რეალური სამოქალაქო საზოგადოება ჩანასახშივე მოკლეს და მისი მონოპოლიზირება მოხდა. **მედიაკულტურა გადაგვარდა და მედია ტყუილების და მანიპულაციების საშუალებად გადაიქცა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი სამი ათწლეულის მანძილზე საჭირო იყო მხოლოდ ერთი ამოცანისთვის – ჩამოყალიბებულიყო უცხო სახელმწიფოების დასაყრდენი მრავალათასიანი ძალა, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას მოახდენდა და ხელისუფლებაში მოვიდოდა.**

ჩამოყალიბდა მრავალათასიანი „მეხუთე კოლონა“, რომელიც დღემდე უცხო სახელმწიფოებს ემსახურება. 2003 წელს ეს ძალა, სახელმწიფო გადატრიალების გზით, ხელისუფლებაში მოიყვანეს. შედეგად მივიღეთ არნახული მასშტაბის რეპრესიები, ხალხის წამება, ქუჩებში ხოცვა, ომი, ტერიტორიების დაკარგვა, ბიზნესის და ადამიანების ეპიკური ძარცვა.

### შედარებისთვის, ორგანიზაცია „მემორიალმა“ გერმანული ჰენრიხ ბიოლის ფონდის ფულით საქართველოში 30-იანი წლების რეპრესიები შეისწავლა და რეპრესირებულად 25 000 ადამიანამდე მიიჩნია.

სააკაშვილის დროს კი ციხე 300 000 ქართველმა გამოიარა, ეს კი შრომისუნარიანი მამაკაცების 30%-ია. არასამთავრობო სექტორი და დასავლეთი დუმდა და მეტიც, ამ პროცესის მონაწილე და თანაავტორი თავად იყვნენ. გვახსოვს, როგორ გამოაცხადა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა 26 მაისის საპროტესტო მიტინგის სისხლიანი დარბევის წინ, რომ ხელისუფლებას უფლება აქვს დაშალოს აქციაო.

**– როგორია მათი მართვის სტილი, ესენი არიან გამტარები პოლიტიკაში და მათი მეშვეობით ხდება ფულის შემოტანა პარტიებში? და საერთოდ, რა დაფინანსება აქვთ და საიდან იღებენ ამ დაფინანსებას?**

– ამ ორგანიზაციებს არასამთავრობო კი ჰქვიათ, მაგრამ რეალურად ისინი სხვა სახელმწიფოების სამთავრობო სტრუქტურებია. მათი დაფინანსების 95%-ზე მეტი უცხო სახელმწიფოების ბიუჯეტის ფულია. მოგეხსენებათ, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. უცხოეთიდან ფინანსდება ლიბერალური მედია, 200-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციოლოგიური კვლევები, ლიბერალური პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაც კი არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით ხდება, რადგან კანონით პარტიას უცხოური დაფინანსების მიღება ეკრძალება.

ჯამში, საქართველოში აშშ-დან და ევროკავშირისგან, ყოველწლიურად, 240 მილიონი დოლარი შემოდის და ამას დახმარებას ეძახიან, მაგრამ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებისთვის ამ თანხის მცირე ნაწილი იხარჯება და ისიც საჩვენებლად. ეს ფული ძირითადად „მეხუთე კოლონის“, ანუ გავლენის აგენტურის შენახვას და საქმიანობას ხმარდება. ამ ფულით არც ერთი ქარხანა არ გახსნილა. წარმოიდგინეთ, 30 წლის განმავლობაში რამდენი ფული დაიხარჯა ამათ შენახვაზე?! ტყუილად ფულს არავინ არაფერში იხდის. დასავლეთში პრაგმატული ხალხია – ამ „დახმარებით“ თავის სასიკეთოდ გაცილებით მეტს იღებენ როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად.

**– რა მიზანი აქვს ამ ყველაფერს?**

– „მეხუთე კოლონის“ ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იმ პოლიტიკას არ გადაუხვიოს, რაც უცხო ქვეყნების ინტერესებში შედის, თუნდაც საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე. ეს ეხება არა მხოლოდ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ სფეროს, არამედ ეკონომიკურსაც. ეკონომიკა მთავარია, ის ბაზისია, დანარჩენი ზედნაშენი. დასავლეთიდან „მარშალის გეგმის“ მსგავს დახმარების პროგრამას, ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობას ველოდით, სანაცვლოდ კი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელით, კოლონიალური სისტემა დაგვინერგეს – ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მოდელი.

ჩვენგან გააქვთ ბუნებრივი რესურსები: ხე-ტყე, სპილენძი, ოქრო, მარგანეცი, დიატომიტი, მეტალი და ფერადი ლითონები, გაჰყავთ შრომითი რესურსები ანუ შრომისუნარიანი ხალხი, რომელსაც იაფად ამუშავებენ საკუთარ ეკონომიკაში და სანაცვლოდ, მათი ინდუსტრიული საქონელი ჩვენთან საღდება, ხოლო ადგილობრივი წარმოების განვითარება არ ხდება. ეს კლასიკური მეტროპოლია-კოლონიის ურთიერთობებია. ამას გარდა, ქართული საბანკო სექტორის 90%-ზე მეტი უცხოურია და ეს კაპიტალი საქართველოში ზემოგებებზე მუშაობს. **ევროპაში საბანკო კაპიტალის რენტაბელობა 8%-ია, აშშ-ში - 7%, საქართველოში კი - 23%. საიდან ბანკებს ასეთი ზემოგება?! ეს ხომ ჩვენი ხალხის „გატყავების“ ხარჯზე ხდება!** სიამოვნებით მოგცემენ კრედიტს კორეული ტელეფონის, ჰოლანდიური მაცივრის, გერმანული ავტოს შესაძენად, მაგრამ, თუ ეცდებით მიიღოთ კრედიტი ახალი ქარხნის ან ფაბრიკის გასახსნელად – მიიღებთ უარს. ეს იმიტომ ხდება, რომ არსებობს სიმდიდრის დაგროვების მხოლოდ ოთხი გზა: 1. ცოდნა ანუ მეცნიერება და ტექნოლოგიები; 2. ბუნებრივი რესურსები; 3. ფინანსური კაპიტალი; 4. მრეწველობა.

### ამ სიიდან ჩვენთვის ყველაზე ოპტიმალური მრეწველობაა, რადგან დანარჩენი საკმარისი არ გვაქვს. მრეწველობა კი დამატებით ღირებულებას ქმნის და თან ხალხს ქარხანა-ფაბრიკებში ღირსეულ ხელფასზე ასაქმებს. ამის საშუალებას არ გვაძლევენ, რადგან მსოფლიოში თითქმის ყველაფრის ჭარბწარმოებაა, გასაღების ბაზრები გადანაწილებულია და ზედმეტი კონკურენტი არავის სჭირდება.

დაგვადებინეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები და ჩვენი ბაზარი მათთვის ღიაა და ამის გამო ადგილობრივი მწარმოებლის დაცვას ვერ ვახერხებთ. სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ჩვენი და ჩვენი მსგავსი განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე განვითარებულმა ქვეყნებმა გამდიდრება გააგრძელონ. უცხოეთის „მეხუთე კოლონა“ ამ პოლიტიკას იცავს.




**„მედიაკულტურა გადაგვარდა და მედია ტყუილების და მანიპულაციების საშუალებად გადაიქცა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი სამი ათწლეულის მანძილზე საჭირო იყო მხოლოდ ერთი ამოცანისთვის – ჩამოყალიბებულიყო უცხო სახელმწიფოების დასაყრდენი მრავალათასიანი ძალა, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას მოახდენდა და ხელისუფლებაში მოვიდოდა“!**




**„ევროპაში საბანკო კაპიტალის რენტაბელობა 8%-ია, აშშ-ში - 7%, საქართველოში კი - 23%. საიდან ბანკებს ასეთი ზემოგება?! ეს ხომ ჩვენი ხალხის „გატყავების“ ხარჯზე ხდება!“**




**გამოდის, რომ რეალურად ჩვენი ხალხის სიღარიბე მათი დამსახურებაცაა. რა ენაღვლებათ?! 10-ათასლარიანი ხელფასები და პრივილეგიები გარანტირებული აქვთ, თვითონ ხომ კარგად ცხოვრობენ! რომელიმე არასამთავრობოსგან ამ თემებზე რაიმე კომენტარი გსმენიათ? დასაქმებულთა მესამედი ხელფასის სახით 500 ლარს ან ნაკლებს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ხელფასი ქვეყანაში 1900 ლარს გადასცდა. 600 000 ადამიანი სოციალურ დახმარებაზეა. რომელიმე არასამთავრობოსგან ამაზე წუხილი არ მახსენდება.**

**– რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ვითარება გამოსწორდეს?**

– საქართველო 1994 წლიდან ნაწილობრივ გარე მართვაზეა, 2003-2012 წლებში სრულად გარე მართვაზე გადავიდა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. კოლონიალური მოდელის გავლენით, ქვეყანა ხალხისგან და რესურსებისგან იცლება. 60 მილიონ ტონაზე მეტი მეტალია გატანილი, დღეს 1 ტონა ფოლადის ფასი 800 დოლარზე მეტია, ჩვენგან კი კაპიკებში გადის. ხომ ჯობია, რომ აქვე გადამუშავდეს და ქვეყანამ იხეიროს? ამის საშუალებას მსოფლიოს საფინანსო ინსტიტუტები არ გვაძლევენ. ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკაში ერთ სულ მოსახლეზე 7 ტონაზე მეტი მეტალი აქვს, განვითარებულად ითვლება, 1988 წელს ჩვენ 36 ტონა გვქონდა. ფერადი ლითონები ცალკე დასათვლელია.

**ჩემი გამოთვლებით, დასავლეთს პატარა საქართველოსგან და ქართველებისგან წელიწადში მინიმუმ 10 მილიარდი დოლარის სარგებელი აქვს: რესურსების გატანა; საგარეო ვაჭრობა, სადაც მილიარდებს გვიგებენ; ჩვენი ხალხი, რომელსაც თავის ქვეყნებში მესამედ ფასში ამუშავებენ; მათი საბანკო კაპიტალი საქართველოში ზემოგებებზე მუშაობს; კერძო ბიზნესშიც აქტიურად ნახულობენ ხეირს; სამხედრო ბეგარასაც გვახდევინებდნენ ავღანეთში, ერაყში, აფრიკასა თუ კოსოვოში... ერთი სიტყვით, სერიოზულ ხარკს ვიხდით და ჩვენი სიღარიბის მთავარი წყაროც ეს არის. რომ არა ასეთი მიდგომა, საქართველო უკვე აყვავებული ქვეყანა იქნებოდა.**

**29 აპრილს ბიძინა ივანიშვილმა უალტერნატივო გამოსავალი შემოგვთავაზა: ქვეყნის სუვერენიტეტი უნდა გავაძლიეროთ. ილიას სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ რეალობად უნდა ვაქციოთ. ბევრი ამბობს, რას აკეთებდა მთავრობა 12 წელი? რას ელოდებოდა? ისტორიიდან მაგალითს მოვიყვან: დავით აღმაშენებელი თურქებს ხარკს გამეფებიდან კიდევ 10 წელი, ხოლო გიორგი ბრწყინვალე მონღოლებს ხარკს გამეფებიდან კიდევ 9 წელი უხდიდნენ. ორივე მეფემ ხარკის გადახდა შეწყვიტა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლა მაშინ დაიწყო, როცა რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ჰეგემონი დასუსტდა. დავითის შემთხვევაში ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, ხოლო გიორგი მეფის დროს მონღოლთა სახელმწიფოში შიდა არეულობა დაიწყო.**

გეოპოლიტიკური ვითარება 2022 წლიდან რადიკალურად შეიცვალა და მსოფლიო მრავალპოლუსიან მოწყობისკენ მიდის. ერთი ჰეგემონი აღარ იქნება. 2023 წლიდან შესაძლებლობა გაჩნდა, რომ სუვერენიტეტი მოვიპოვოთ და სახელმწიფოს შენება „ქართული პროექტით“ გავაგრძელოთ. ამისთვის საჭიროა, რომ პირველ რიგში, უცხო სახელმწიფოების გავლენის ინსტრუმენტები გავანეიტრალოთ - გარედან დაფინანსებული „მეხუთე კოლონა“ და უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის კანონი სწორედ ამას ემსახურება. ეს არ ნიშნავს, რომ ანტიდასავლური კამპანია ვაწარმოოთ. ჩვენი მიზანი არ უნდა იყოს დასავლეთისგან საქართველოს იზოლირება. უბრალოდ ფილტრი უნდა დავაყენოთ:

**მისაღები მივიღოთ, ხოლო მიუღებელი არ მივიღოთ. ეს ეხება იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს.**

**– ოპოზიცია აცხადებს, რომ უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის კანონი რუსულია და „ქართულ ოცნებას“ ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავს...**

– რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობები რაღაც დოზით საჭიროა, ის ჩვენი მეზობელია. მაგრამ მათთან სამოკავშირეო ურთიერთობები არარეალურია, ვიდრე ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება. ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინის ომის დაწყებიდან მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო. საქართველოს სტრატეგიული ამოცანაა, რომ არც ერთ ბანაკში არ აღმოვჩნდეთ, რადგან ერთ-ერთი გაგვსრისავს. ვნახეთ, როგორი ზეწოლა იყო ხელისუფლებაზე, რათა აქ მეორე ფრონტი გაგვეხსნა. ეს ჩვენთვის დამღუპველი იქნებოდა. გვეუბნებოდნენ, არაუშავს, დანგრეულს აღვიდგენთო. დაღუპულ ხალხს ხომ ვერ დააბრუნებდნენ?! ამიტომაც მოიძულა დასავლეთმა ეს ხელისუფლება. ივანიშვილმა სააკაშვილის მსგავსად ქვეყანა გარედან დაკვეთით ომში არ ჩართო და ეს დასაფასებელია, რადგან მთელი რისკები პირადად მან აიღო.

**აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სამხედრო გზით დაბრუნების ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ, რადგან წარმატების შემთხვევაშიც კი, ეს პრობლემის შემდეგი თაობებისთვის გადაბარებას ნიშნავს. ივანიშვილი რუსეთთან ომის სცენარზე არ წავიდა, რითიც გლობალური ომის პარტია გადაიმტერა და ახლა ეს ძალა ამ ხელისუფლების დამხობას ცდილობს, რადგან იცის, რომ ოპოზიცია ჯიბეში უზის და ნებისმიერ ავანტიურას ხელს მოაწერს, როგორც ეს 2008 წელს ხელისუფლებაში ყოფნისას გააკეთა. გადახედეთ ლიბერალურ პარტიებს, დღესაც იგივე ხალხია: ნაცები და არასამთავრობოები. ასეთ ვითარებაში ჩვენთვის, არაპარტიული ხალხისთვის, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილისთვის, სამარჩიელო აღარაფერი რჩება – ბიძინა ივანიშვილის მშვიდობის პოლიტიკას მხარი უნდა დავუჭიროთ. მისი მთავარი მოკავშირე ახლა ქართველი ხალხია, სხვა ყველა არასანდოა.**

ცხადია, ის ამას ხვდება და ამიტომაც ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ და ოჯახის სიწმინდის დაცვის შესახებ კანონპროექტთა მთელი პაკეტი დაინიცირდა – ეს სწორედ ის საკითხებია, რომელიც ქართველ ხალხს განსაკუთრებით აწუხებს. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხრიდან ნებისმიერი სამხედრო ავანტიურა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით დასრულდება და სახელმწიფოებრიობას დავკარგავთ. გამოდის, რომ პირიქით, დღეს სამშვიდობო და მიუმხრობლობის პოლიტიკა საქართველოს რუსული ოკუპაციისგან იცავს.

**– დასავლეთში ამას ვერ ხვდებიან?**

– რა თქმა უნდა, დასავლეთში ეს იციან, მაგრამ მათთვის მთავარი ფრონტი უკრაინაშია და წარმატება სწორედ იქ სურთ. საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა კი ნატოს უკრაინაში წარმატების ალბათობას გაზრდიდა, რადგან რუსეთი იძულებული გახდებოდა, 60-100-ათასიანი სამხედრო დაჯგუფება აქეთ გადმოესროლა – დაახლოებით ამდენი სამხედრო სჭირდება საქართველოს ოკუპაციას ან კიდევ ორი ტაქტიკური ბირთვული რაკეტა გამოეყენებინა საქართველოს წინააღმდეგ. ბირთვული იარაღის გამოყენების ფაქტზე კი მთელ მსოფლიოს რუსეთის წინააღმდეგ მომართავდნენ. ამ სცენარში საქართველო ნატოს გენერლებისთვის მეორადი, სახარჯი მასალაა.

ზოგადად, რადიკალურმა ლიბერალიზმმა მსოფლიო მმართველი ელიტების დეგრადაცია გამოიწვია. შეხედეთ, დღეს ვინ მართავს დასავლეთის ქვეყნებს და შეადარეთ ისინი მე-20 საუკუნის ლიდერებს: ჩერჩილს, რუზველტს, ადენაუერს, დე გოლს, მიტერანს, კოლს... გლობალისტი ლიბერალები ტოტალიტარულ სექტად ჩამოყალიბდნენ და 2001 წლიდან პროექტი „დემოკრატია“ დახურეს. 2020 წლის აშშ-ს არჩევნები ამის ნათელი მაგალითია. ამერიკაში პოლარიზება პიკს აღწევს და გლობალისტები ცდილობენ, პატრიოტული ამერიკა კვლავ არ მიუშვან ქვეყნის მართვის სადავეებთან. ადრეც ამის მჯეროდა და ახლაც ვადასტურებ: **ტრამპის გაპრეზიდენტება წაადგება მსოფლიოს, ამერიკას და ჩვენც, რადგან ამ ულტრალიბერალური სიგიჟეების ექსპორტი შეჩერდება და ომები შეწყდება. აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპი და ჯიმი კარტერი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე აშშ-ს ის პრეზიდენტები იყვნენ, რომელთაც არ უომიათ.**

ნათელია, რომ გლობალისტების სცენარი ჩავარდა და ახლა ისინი აგონიაში არიან. ამიტომაც სურთ, რომ მსოფლიო ომის ქარცეცხლში გახვიონ და კრიზისი როგორმე გადააგორონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ასე იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. ასე იქნება ახლაც. ერთადერთი, რასაც გლობალისტებმა მიაღწიეს, ის არის, რომ აშშ დაასუსტეს და ერთადერთი ჰეგემონის სტატუსი დააკარგვინეს. ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მთავარი შიში – ჩინეთის და რუსეთის კავშირის შესახებ კი რეალობად აქციეს.

**– რას უნდა ველოდოთ არჩევნებისთვის?**

– ხელისუფლებამ ომის რისკები თავიდან აგვარიდა. აქედან გამომდინარე, დღეს ხალხი და მთავრობა სიტუაციური მოკავშირეები არიან. სუვერენიტეტის მოპოვება იოლი არ არის და ამას თაობები ეწირებოდნენ. მოაზროვნე ადამიანები ამ პროცესს ხედავენ და მხარს უჭერენ. „ქართულ ოცნებას“ შანსი აქვს, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. ხალხი არჩევნებში იაქტიურებს, რადგან რეალური არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის უნდა გაკეთდეს.

**აშშ-ში 5 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნებია, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კი 26 ოქტომბერსაა. თუ ვაშინგტონში კვლავ დემოკრატები დარჩებიან, ისინი ჩვენი არჩევნების შედეგებს, იდეალურადაც რომ ჩატარდეს, არ ცნობენ. ადრე ჩვენი მეფეები მონღოლ ყაენთან მიდიოდნენ ე.წ. იარლიყის მისაღებად, რაც მეფობაზე დამტკიცებას ნიშნავდა. ახლა ამ იარლიყის მიცემა არჩევნების ცნობა-არცნობით არის ჩანაცვლებული, არსი არ შეცვლილა. მეტროპოლიამ ადგილობრივი მმართველი უნდა დაამტკიცოს – ასეთია წესი.**

იტყვიან, არჩევნები გაყალბდაო, ხელისუფლებას და ქვეყანას კი სანქციებს დაუწესებენ. რადგანაც ყველა სფეროში მათ ჩვენგან სარგებელი მეტი აქვთ, ვიდრე ჩვენ მათგან, ამიტომაც სანქციების მოგონება უჭირთ. ეს არ იქნება სასიამოვნო პროცესი, მაგრამ უნდა გავუძლოთ, რადგან მეორე გზა ომში ჩართვას, ნგრევას, მსხვერპლს და ქვეყნის დემოგრაფიულ დაცლას ნიშნავს. სანქციებით უბრალო ხალხს არაფერი მოუვა, მდიდრების ფენას კი დისკომფორტი შეექმნება, რადგან შესაძლოა მილანში შოპინგზე და „უიკენდზე“ პარიზში ყავის დასალევად ჩვეულად ვეღარ ჩავიდნენ. ზოგადად, სანქციებს რაც შეეხება, 30 წელია ისედაც სანქციების ქვეშ არ ვართ?! ქვეყნის ეკონომიკის და პოლიტიკური სისტემის სუვერენული განვითარება გვეკრძალება. თუ ხელისუფლება ევროპის მემარჯვენე ძალებთან იმუშავებს, შესაძლოა ბრიუსელმა მკაცრი სანქციები არ დააწესოს.

ევროპას საქართველო, როგორც აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ცენტრალური აზიის ენერგომატარებლების, ნედლეულის და ჩინური პროდუქციის გამტარი ქვეყანა სჭირდება, რადგან ამ ნედლეულის გარეშე მისი მრეწველობა სრული დატვირთვით ვერ იმუშავებს. საქართველოს კონსოლიდირებული (მთავრობის და კერძო სექტორის) ვალი 23 მილიარდ დოლარს შეადგენს.

იხ. მე-6 გვ.

## ირაკლი გოგავა:

# ულტრალიბერალური სიგიჟეების ექსპორტი უნდა შეჩერდეს, ომები შეწყდეს!..

მეხუთე გვერდიდან

ეკონომიკური სანქციების შემთხვევაში ვინ გადაიხდის ამ ფულს?!

ჩვენს საბანკო სექტორში 25 მილიარდი დოლარი უცხოური ფულია, სანქციების დროს ამ კაპიტალს რას უზამენ?! დასავლეთის არსენალი ჩვენ წინააღმდეგ არცთუ დიდია. იმედია, ეყოფათ გონიერება და საქართველოსთან პრაგმატულ, თანასწორ დიალოგს დაიწყებენ. ჩვენი ინტერესია, ევროპასთან ურთიერთობები შევინარჩუნოთ და ეკონომიკური ვექტორები სხვა მიმართულებითაც განვავითაროთ. საქართველო კორიდორი (დერეფანი) არ არის, საქართველო გზაჯვარედინია.

**— თქვენი დაკვირვებით, როგორი იქნება არჩევნების კვალდაკვალ რადიკალური ძალების მოქმედების სტრატეგია?**

**— არჩევნების დროს „მეხუთე კოლონა“ საკმაოდ რადიკალურად იმოქმედებს, მაგრამ მის მიმართ კანონიც ასევე რადიკალური იქნება. ხელისუფლება მონოლითური აღმოჩნდა, მისი ნავიდან მხოლოდ 5 ჩინოვნიკი გადახტა და ორი ისევ უკან დაბრუნდა. ოქტომბერ-ნოემბერში ხელისუფლებაც რომ შედრკეს, რისი ნიშნებიც არ არის, ხალხი აუცილებლად გამოვა და პროცესებზე პასუხისმგებლობას აიღებს. ვერ ვხედავ რეალისტურ სცენარს, რომლითაც „მეხუთე კოლონა“ ხელისუფლებაში მოვა. გვესმის, რომ კოლექტიური ნაცების ხელისუფლებაში მოსვლა და ომში ჩვენი ჩართვა ერთი იქნება. დასავლეთშიც ესმით, რომ გადატრიალება არ გამოვა და ახლა პატრიოტულ ფლანგზე ახალი პერსონაჟების შემოგზავნას უნდა ველოდოთ, რათა მომავლის პროცესებისთვის გავლენის აგენტები ჰყავდეთ.**

**„ტრამპის გაპრეზიდენტება წაადგება მსოფლიოს, ამერიკას და ჩვენც, რადგან ამ ულტრალიბერალური სიგიჟეების ექსპორტი შეჩერდება და ომები შეწყდება. აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპი და ჯიმი კარტერი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე აშშ-ს ის პრეზიდენტები იყვნენ, რომელთაც არ უომიათ.“**



ევროკავშირში წევრობას რაც შეეხება, ეს სატყუარაა. ჩვენს მიღებას არც ევროკავშირში და არც ნატოში არავინ აპირებს. ამიტომაც გონივრული იქნება, თუ ევროინტეგრაციის პროცესი ჩვენი მიზეზით არ შეჩერდება, ხოლო მათი სიყალბის ლუსტრაცია მოხდება. სატყუარა „ევროკავშირში გაწევრება“ ცხვირწინ იმიტომ დაგვიკიდეს, რადგან მათ სცენარში საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში ფიჩხის ფუნქცია აკისრია.

ქართული სახელმწიფო 3000 წელზე მეტისაა, არსებობდა ევროკავშირის წარმოქმნამდე და იარსებებს მას შემდეგ, რაც ევროკავშირი აღარ იქნება. არავის ჭკუის სასწავლი ჩვენ არ გვჭირს, იქით შეგვიძლია, ვასწავლოთ. ევროპული სახელმწიფოები ჩვენ თუ მოგვბაძავენ და მეტი სუვერენიტეტისთვის იბრძოლებენ — არ წააგებენ.

**თუ ევროპა ტრადიციულ, ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებულ გზას დაუბრუნდება, ის ჩვენთვის საინტერესო იქნება და მასთან ურთიერთობებს აქტიურად გავაგრძელებთ. მთავარია, ჩვენს სუვერენიტეტს პატივი სცენ და საქართველოს შიდა საქმეებში არ ჩაერიონ. ქართული სახელმწიფოს როლი და ადგილი ისეთი უნდა იყოს, როგორიც ავსტრიას ჰქონდა „ცივი ომის“ დროს. ავსტრია არ ეკუთვნოდა არც ერთ სამხედრო ბლოკს და ორივე განაპი მის ტერიტორიაზე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ახორციელებდა. ასეთი მოდელი ქართველ ერს გრძელვადიან მშვიდობას და კეთილდღეობას მოუტანს.**

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# ეს რა იდიოტი ყოფილა გახარიას აქტივისტი ლევან გოგიჩაიშვილი!!!

## უხარია, იმის მაგივრად, რომ გული ეტკინოს!

**ბოლო ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, „ქართული ოცნების“ უდავოდ უდიდეს წარმატებებთან ერთად, რომელთა დანახვა მხოლოდ პოლიტიკური თვალისჩინდაქვეითებულ ნაცმოძრაობას და ვითომ მისგან გამოყოფილ ნაირ-ნაირ „წვრილფეხა“ პარტიებს არ სურთ, ერთი აშკარად გამორჩეული ხარვეზიც იჩენს თავს, ესაა, პირველ ყოვლისა, უმაღლეს სახელისუფლებო თანამდებობებზე აშკარად ორგულა და ორპირა პერსონების აღზევება, რომლებიც დროთა განმავლობაში პოლიტიკური ქამელეონებისთვის ყველა დამახასიათებელი ნიშნის სრულ სპექტრს ავლენენ ხოლმე.** ათიათასჯერ დამტკიცებულ-დადასტურებულ „ღალატის ქრონიკების“ ჩამოთვლას ნამდვილად არ შევუდგებით, ამ ხალხის გვარსახელები ყველამ მშვენივრად იცის, თუმცა კი ადრესატებს მაინც მიგანიშნებთ — მხედველობაში გვყავს საქართველოს ბოლო ორი „დასმული“ პრეზიდენტი, ასევე ერთი-ორი ნაპრემიერალი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი გიორგი გახარია გახლავთ. ბუნებრივია, რომ დიდ სახელმწიფო თანამდებობაზე აღზევებული ყველა მოხელე, რომ იტყვიან, „საქმის თავის ყაიდაზე ასაწყობად“ საკუთარი გუნდის წევრთა კიდევ უფრო მეტად დაახლოებით და მათთვის გარკვეული ფუნქციების ნაწილის დელეგირებით იწყებს. ამ მხრივ, გიორგი გახარია არანაირი გამონაკლისი არ არის, რომელსაც გაპრემიერებამდე, მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. ეს ის დრო იყო, როცა იგი „ქართული ოცნების“ დამაარსებლისა და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მმართველობის საჭიდან მომცილებლის ბიძინა ივანიშვილის თავგამოდებული ქომაგი იყო, მაგრამ... თუმცა მერე რაც მოხდა, ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ახლა კი მისი პარტიის აქტივისტები, ბიძინა ივანიშვილისადმი წაყენებული ბრალდებების ერთ-ერთ პუნქტად იმას ასახელებენ, რომ ქვეყანაში სამართალი ორივე ფეხით იმიტომაც კოჭლობს, რომ, როგორც გახარიას პარტიულმა აქტივისტმა **ლევან გოგიჩაიშვილმა** ცოტა ხნის წინათ განაცხადა,

**„ქართული ოცნება“ უკვე არაორგანულია ამ სახელმწიფოს მართვისთვის... მათი ხელისუფლების მმართველობა არის არაორგანული ამ ქვეყნის მომავლისთვის. ისინი ხელს უშლიან ამ ქვეყნის განვითარებას. სტუდენტებს უსაფრთდებიან, რასაც სუს-ი გეგმავს. აბა, თქვენ გგონიათ ეს რაღაც „შპანები“ რომლებიც დარბიან, პატრიოტები არიან? არა, ესენი არიან ჩვეულებრივი ორგანიზებული ჯგუფები, რომლებსაც ორგანიზაციას უწევს სუს-ი, საქართველოს უსაფრთხოების სამსახური ამით არის დაკავებული!.. ამ საქმეში კი ისევ ის ხალხი ჰყავთ დასაქმებული, ვინც ამავეს აკეთებდა ნაცების დროსაც — ლილუაშვილს მოადგილე ჰყავს ახობაძე, რომელიც მთელი ცხოვრება იყო კუდის ნაწილი და მაშინაც ამ საქმით იყო დაკავებული. და ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ყველაფერი ამის შესახებ ივანიშვილი ინფორმირებულია“ (სტილი დაცულია – რედ.).**

ახლა ისმება კითხვა: თუ სამართალდამცველები ისევ ძველი, უვარგისი და არასანდო კადრებია და კვლავაც ძველებურად განაგრძობენ უკანონო საქმიანობას, მანდ არ იყო განა ბ-ნი გოგიჩაიშვილის ახლანდელი პარტიული ბოსი, ბ-ნი გახარია? რატომ არ იზრუნა თავის დროზე სამართალდამცველთა „ხელების სისუფთავეზე, ცივ გონებასა და მგზნებარე გულებზე“?! რატომ დატოვა ხალხის ბედ-იღბლის განმკარგველი და ყოვლის განმსაზღვრელად იგივე უწესო ხალხი?! ანდა რას ნიშნავს, რომ „ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ყოველივე ამის შესახებ ივანიშვილი ინფორმირებულია“? ასეთ დონეზე ერევა ბატონი ბიძინა სუს-ის საქმეში, რომ „მოლოტოვის კოქტეილის“ თითოეულ მსროლელზე სუს-ის აგენტების ჯგუფებს პირადად გეშავს?!

ნუთუ სულ არაფრის გრცხვენიათ, ბ-ნო გოგიჩაიშვილო?!

ანდა იმის მტკიცება როგორ შეგიძლიათ (ტყუილს განგებ არ ვუწოდებთ, იარლიყი თავად მკითხ-



ველმა მიაკრას!), რომ „პრემიერ-მინისტრი კობახიძე შეუმჩნეველია — ის კი დადის სადღაც, მაგრამ ვერავინ ვერ ამჩნევს, იმიტომ, რომ ისინი არაორგანულები არიან“?!!

ჯერ ერთი, ვინ გითხრათ, რომ „არაორგანულები“ არიან და ამიტომაც „შეუმჩნევლები?! თქვენ ხომ „ზედ აკვდებით“ საქართველოს მოსახლეობის მისწრაფებებსა და ოცნებებს, თქვენმა მზემ! თუ პოლიტიკური ოპონენტების გზიდან ჩამოსაცილებლად აუცილებლად მათთვის ტალახის სროლა და ცილისწამება გჭირდებათ? თქვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ვინმე უცხოელი დიპლომატი, გნებავთ პოლიტიკოსი, თუ ჯეროვანი პატივით არ ეპყრობა და, ისევ თქვენს ტერმინოლოგიას დავესხებით „არ იმჩნევს“, ნუთუ ეს პატრიოტისთვის (ყოველ შემთხვევაში, ასეთად გვესახება იმ პარტიის წევრი, რომელსაც „საქართველოსთვის“ ეწოდება!) სიხარულის მომტანი და არა გულსატკენი ამბავი უნდა იყოს?

სირცხვილისა არა გაგეგებათ რა, „საქართველოსთვის“ გულდათუთქულო ბატონებო!!

**ოთარ აბრამია**

# ესთეტიკური ტკბობის მოლოდინში

**გამოჩენილი ქართველი მწერლის რევაზ მიშველაძის „რჩეული ნოველების“ ახალთახალი კრებულის შესახებ მოგვითხრობს წიგნის შემდგენელი და რედაქტორი მურმან თავდიშვილი.**



მეგობარო მკითხველო,

ამ კრებულს რომ გადახედავ, ასე მოგეჩვენება, თითქოსდა შამპანურის შხეფები შემოგასხურეს ანდა ფეხქვეშ ვარდის ასურნელებული ფურცლები დაგიფანტესო.

როცა **რევაზ მიშველაძის** წინამდებარე კრებულის შედგენა და რედაქტორობა დამევალა, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ვფიქრობდი: როგორც იქნა, ერთხელ მაინც მომეცა შესაძლებლობა, ცოცხალი კლასიკოსის ქმნილებათაგან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი შევარჩიო, ამგვარი თაიგულით წარვდგე საზოგადოების წინაშე და მკითხველს ჩემი სარედაქტორო მაზაც ვუჩვენო-მეთქი! მაგრამ ჩემს ხზოსებრ აღტაცებას ცივი წყალი გადაესხა, როცა მაუწყეს – ოცდაათ ფორმაში უნდა ჩაეტიოო! არადა როგორ გინდა, ხუთას ორმოცდაათი ნოველიდან, რომელთა შორისაც, სულ ცოტა, ასი მაინც შედევრია, ნაათალი, გინდა ნასამალი ამოარჩიო და სხვებისაკენ ხელი არ წაგიცდეს! და ახლა მე იმ ნაწარმოებებს, რომელთაც განზე ვტოვებ, შორიდან ვესიყვარულები, გამოსასალმებლად ხელს ვუქნევ გულდაწყვეტილი, თითქოსდა ჩემი ბაღჩის წითელი ვარდები ყოფილიყოს, და სადღაც შორს, გონების რომელიღაც კუთხე-კუნჭულში, ფარული იმედი მიღვივის: ეგების, ოდესმე კვლავ მომეცეს შესაძლებლობა და ჩემ მიერ შედგენილ იმ რჩეულ ნაკრებში ისინიც ჩავრთო და ასობით ადამიანის გულის შესათრთოლებლად ასპარეზზე გამოვიყვანო-მეთქი!

ამ ტიპის შესავალს, შესაძლოა, კონკრეტულ ნოველებზე საუბარი არც შეშვენოდეს, ოღონდ ორიოდე მათგანი მაინც უნდა ვახსენო:

როცა დაიბეჭდა ,,მტრედი თავდაღმა ჰკიდია", აღფრთოვანებული მკითხველები მირეკავდნენ და მილოცავდნენ, თითქოსდა მე დამეწეროს.

– შენ რა შუაში ხარო?! – გაიკვირვებს მავანი და მართალიც იქნება, თუ არ ავუხსენი: მირეკავდნენ და მილოცავდნენ, როგორც ავტორის მეგობარსა და ახლობელს, მით უფრო, რომ სწორედ იმხანად ერთ-ერთ გაზეთში რევაზ მიშველაძემ თავის უპირველეს მეგობრად გამომაცხადა.

ამ ქმნილებაში ესოდენ რა მოეწონათ? – ის, რომ დღევანდელ პიროვნებაში ლამის არის გაქრეს შებრალების, თანაგრძნობის, თანალმობის გრძნობა, რომელსაც რუსთველმა თითქმის მთელი პოემა და ერთი პერსონაჟი (ავთანდილი) უძღვნა. თავდაღმა დაკიდებული ფრინველის სატკივარმა კი არ დააძინა ნოველის მთავარი პერსონაჟი (იგივე ავტორი). შესაძლოა, ეს ერთგვარი სანტიმენტიც იყოს, ოღონდ რა ვქნათ? ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენო კრიტიკოს ბელინსკის სიტყვები: **ის უფროა ადამიანი, ვინც უბრალო ჩიტის სიკვდილის გამო ტირის, ვიდრე ის, რომელიც მხოლოდ მაშინ ვალალებს, როცა მას უზარმაზარი კეტით სცემენო.**

რუსთველი გვმოძღვრავს: ,,გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის" და ეს სწორედ ნოველის ერთ-ერთი სპეციფიკაა. საკითხი ჰომეროსმა ასე გადაჭრა: ბერიკაცები შეყრილან, ბჭობენ და ბრაზობენ, როგორ შეიძლება ერთი დიაცისათვის ომის გაჩაღება და რჩეული ვაჟკაცების დაღუპვაო?! უცებ მათ წინაშე ჩაივლის მომხიბვლელი ელენე. მოხუცები კამათს მყისვე შეწყვეტენ და დაასკვნიან: ასეთი მშვენიერებისათვის ნამდვილად ღირს ომიო!

რამდენი სიტყვა, გრძნობა და ეპითეტი უნდა დაეხვავებინა ეპიკოსს, რომ აღეწერა მანდილოსნის მომხიბვლელობა და მიხრწნილ ბერიკაცთა მიძინებულ ძარღვებში ჭაბუკური სისხლი აეჩქეფებინა?!

მსგავსად ირჯება ჩვენი ავტორი, როცა სწადია კომუნისტურ-სოციალისტური ნამყო და 1990-იანი წლების დამდეგი ერთურთს შეადაროს. ამ კოშმარული წლების გასასიგრძეგანებლად რამდენი სიტყვა და გამოთქმა უნდა გამოეყენებინა ნოველისტს და მაინც, შესაძლოა, საქმე დამში ვერ მოეყვანა. ეს გრძელი და მტანჯველი გზა მან მოკლეზე გადაჭრა, როცა გვიჩვენა: თავის არაერთგზის ამწიოკებელ და მექრთამე ყოფილ რაიკომის მდივანს ყოფილი ქორვაჭარი ებრაელი ასე უხმობს – **ანგელოზათ ნამუშევაროვო!**

მე რომ კაცმა მკითხოს, ამ ორ სიტყვაში 1990-იანი წლების მთელი კოშმარი უკეთესადაა გამოხატული, ვიდრე მავანის ვრცელ მოთხრობასა თუ რომანში. ჩემი ფიქრით, ამ ტექსტს ასეთი განზოგადებული დასკვნა შეეფერება: **ტირანული სახელმწიფო – ეს ყველას მეგობარი და თითოეულის მტერია; დემოკრატიული – თითოეულის მეგობარი და ყველას მტერი.**

საერთოდ კი მთელი თავისი ნაწერების მხედრიონით პროზაიკოსი ზენაარს კეთილად, უბოროტოდ შეაგონებს: **კარგი იქნებოდა, ადამიანის შექმნისას მამაზეციერს ოთხი აუცილებელი ელემენტიდან (მიწა, ჰაერი, წყალი, ცეცხლი) მიწა ნაკლები გამოეყენებინა!**

დაუცხრომელი შემოქმედი სანოველე სტილის სამ მთავარ კომპონენტს როდი სჯერდება – ამდიდრებს მათ ახალი შენატანით. ესაა სიკეთით აღსავსე ხალასი იუმორი და ენობრივი სიახლეები (სახელთა თავისებური გაზმნავება, კომპოზიტები ...), რაც უკვე გახდა მკვლევართა დაკვირვება-ძიებების საგანი (თ. სანიკიძე, მ. ჯგუბურია, ა. ნიკოლეიშვილი და სხვანი); ეგ არის საკითხის ფორმობრივი მხარე. ახლა შინაარსობრივ-არსობრივიც გავსინჯოთ: პროზაიკოსი მუდამაც ცდილობდა მოეცვა ქვეყნის მთავარი სატკივარი. ამიტომაც თუ იყო: მისი ნახელავი პატრიოტულ და სოციალურ ორიენტირს უსახავდა მოსახლეობას. ხანდახან კიდევაც მეჩვენება, თითქოსდა ამ მხრივ ილიას გავლებულ ხნულს აგრძელებდეს; ახლა ასახულის გეოგრაფიაც მოვიხილოთ. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რაზეც ხშირად მიფიქრია: დ.კლდიაშვილს უსაყვედურეს, რად არ დააგდებ იმერეთის საზღვრებს და მამულის სხვა მხარეებსაც არ გამოხატავო?! მას კი ფარად პატიოსანი პასუხი აუფარებია – სხვა კუთხეებს არ ვიცნობო. ,,მოსესა" და ,,იაპონელის" შემთხზველს ამ მხრივ ტოლს ვერავინ დაუდებს. იგი ზედმიწევნით იცნობს კახელსაც და ინგილოსაც, იმერელსაც და მეგრელსაც; შესანიშნავად ,,უქცევს" აზერბაიჯანულადაც და თურქულადაც, რუსულადაც და ინგლისურადაც ... ამიტომაც როდი გვიკვირს, ეს ქმნილებები მსოფლიოს 15 ენაზე რომაა გამოცემული. ასე ფართოდ, ასე მსუყედ **არც ერთი** ჩვენი მწერალი არ უთარგმნიათ. ვთქვი **არც ერთი** და ახლაღა მომაგონდა: **არც ერთ** ქართველ მწერალს თავის სიცოცხლეში თაროზე კოხტად გარიწკინებული საკუთარ თხზულებათა ოცდახუთტომეული არ უხილავს.




სიტყვის დიდოსტატს მკითხველის სიყვარულთან ერთად არც ეს ბედნიერება დაჰკლებია!

მუდამ ვშიშობდი:

ასაკის მატებასთან ერთად, ვაითუ, მწერალს ბევრი სახელოვანი კლასიკოსის დარად გონებრივი შესაძლებლობები შეეზღუდოს, კალამი დაუჩლუნგდეს-მეთქი!

ამაო გამოდგა ჩემი შიშკვეთება: ახალშექმნილი მონაგარიც („მაჰიდო", „ვულკანი ბრომო"...) ისე გამაბრუებელია, როგორც ახალდაწნეხილი კაჭიჭის სურნელება. ამისდა კვალობაზე, ვხვდებით: უქარქაშო კალმით აღჭურვილი ჩვენი მხედარი ისევ ცხენზეა და აგრძელებს ქროლვას დეზიანს. ამიტომაც მის სხვა ახალთ უახლეს ნაწერებზე ,,ჩვენც ნურას ვიტყვით, – გადავხედოთ და გავიაროთ!" (დანტე, ინფერნო).

ახლა მე ამას ვშიშობ: ხომ არ დააბრკოლებს და დააუშნოვებს ჩემი უგერგილო და სიტყვამკრთალი შესავალი შედევრთა იმ მწკრივს, რომლებიც ამ კრებულშია დაჯრილი?

თავს რუსთველისავე მაგალითით ვიმხნევებ: მართალია, პროლოგი გენიალურია, მხატვრულ-ემოციურად მაინც ერთგვარად ჩამორჩება ავთანდილისა და ნესტანის ანდერძებს, პოემის შუაგულში უმაღლეს მწვერვალებად რომ წამოზიდულან.

ასეთია, საზოგადოდ, შესავლის ბედი!

წინასიტყვა ერთგვარად ორთქლმავალსა ჰგავს.

მართალია, პირველად ორთქლმავალი გამოჩნდება, ოღონდ ჩვენ მაინც დიდის მონდომებით რონოდების ჩამოდგომას ველოდებით.

დარწმუნებული ვარ: გულდასმით წაიკითხავს რა ,,ლომს", ,,ქველს", ,,მოსესა" თუ ამათ მიმყოლ ქმნილებებს, მაღალი ესთეტიკური ტკბობის მოლოდინი არცა ძველ და არც ახალ მკითხველს არ გაუმტყუნდება, ხოლო ჩვენი 84 წლის პროზაიკოსი, როგორც შემოქმედი და პიროვნება, თამამად მიადგა ყოფნა-არყოფნის გასაყარს და მას, დაყურსულს მოთხრობებით, ნოველებით, რომანებით, სტატიებით, გამოკვლევებით, მემუარებით, თავის ამჟამინდელ სათქმელადაც გამოადგებოდა მისივე სიტყვები, მწერლის 70 წლის იუბილეზე მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში გამოკრულ ბანერს რომ ამშვენებდა:

„ჩემი სიცოცხლის მიზანი ქართული სულიერების, ეროვნული ცნობიერების გადარჩენაა! – რევაზ მიშველაძე".

მე კი, ჩემდა თავად, დავსძენ: ამ საშვილიშვილო საქმეს საუკუნეთა წიაღ დიახაც გააგრძელებს მისი უკვდავი შემოქმედება.

**მურმან თავდიშვილი**

# „ვეფხისტყაოსნის" უნიკალური გამოცემის რესტავრაცია დასრულდა




**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილებამ 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" მოოქროვილი ყდა აღადგინა. ჩვენმა რესტავრატორებმა მოოქროვილი ყდის აღდგენის ეს მეთოდი პირველად გამოიყენეს. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.**

„საუბარია 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე". ეს არის ვახტანგ VI-ის სტამბაში 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის პირველი რედაქტირებული გამოცემა. ეს სამუშაო ჩაატარა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა რამდენიმე ადამიანი. კომისიის წევრებს შორის იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, იონა მეუნარგია, ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები.

გამოცემის ყდა გრიგოლ ტატიშვილის მიერ შექმნილი ორნამენტებით მოიხატა, რომელიც შეიქმნა ქართული ეკლესია-მონასტრების ორნამენტების მიხედვით. ორნამენტები ოქროსფრად იყო დატანილი სპეციალურ საგამომცემლო ნაჭერზე – კოლენკორზე. ოქრო ჩაწნეხილი იყო ყდაში, მაგრამ დროთა განმავლობაში პირვანდელი სახე დაკარგა. ჩვენ გავაცოცხლეთ და ამოვიყვანეთ ოქრო ისე, როგორც თავდაპირველად, 1888 წელს იყო. არ მეგონა, თუ ჩვენი ლაბორატორია ამას შეძლებდა. ეს გააკეთა ჩვენმა რესტავრატორების ჯგუფმა. განსაკუთრებით დასაფასებელია ნინო ჩიმაკაძის ღვაწლი. ჩვენმა თანამშრომლებმა უცხოელი კოლეგების გამოცდილება და შედეგები შეისწავლეს, გაიზიარეს და პირველად შეძლეს ამ რთული სამუშაოს ჩატარება.

საქართველოში მე აქამდე არ მინახავს ამ დონეზე რესტავრირებული ყდა. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს ჩვენი ლაბორატორიის უფროსი ნატალია ელიზბარაშვილი. ჩვენმა რესტავრატორებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიარეს სტაჟირება თურქეთში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში. მომავალში ვაპირებთ ესპანეთის, პოლონეთისა და ფინეთის გამოცდილების გაზიარებას. ეს წიგნი არის მთელი ჩვენი გამოცდილების საუკეთესოდ გამოყენების ნიმუში", – აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა.

„კოლენკორი ნიშნავს პოლიგრაფიულ მასალას (ქსოვილს), რომლისგანაც მზადდება წიგნის ყდა. 1888 წლის გამოცემაზე ცხელი მოოქროვების მეთოდით იყო დატანილი ორნამენტები, რომელიც დროთა განმავლობაში გაფერმკრთალდა, ზოგ ადგილას კი საერთოდ გაქრა. 1888 წლის „ვეფხისტყაოსნის" ყდა მთლიანად აღდგა და რაც მთავარია, მოოქროვებამაც დაიბრუნა პირვანდელი სახე. ამ ტიპის ყდის ამ მეთოდით აღდგენა პირველად გავაკეთეთ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა", – განაცხადა ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილების უფროსმა ნატალია ელიზბარაშვილმა.

## ◎ სამშობლო გულში იხუტებს...

# როგორც ჩემპიონებს



**გუშინ დედაქალაქმა გულში ჩაიკრა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, რომელმაც ევროპის შუაგულში ასახელა სამშობლო და ისტორიული გერმანული ფორუმიდან თავაწეული დაგვიბრუნდა.**

თავიდან მადლიერ გულშემატკივართა დისლოკაციის ადგილად თბილისის საერთაშორისო აეროპორტი იქცა, სადაც ათასობით ქომაგმა შეკრება გამთენიიდან დაიწყო და კიოლნიდან ჩამოფრენილ გმირთა ავტობუსს ღირსების დერეფანი მოუწყო, ხოლო საღამოს მოვლენათა ეპიცენტრმა ცენტრალურ უბნებში გადაინაცვლა.

სიმბოლურია, რომ საზეიმო მსვლელობა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიდან დაიწყო და ჭავჭავაძის გამზირისა და ვერის გავლით საკრებულოსთან დაგვირგვინდა.

მოკლედ, ასეთ დახვედრას ყველა ინატრებდა. მადლობთ, ბიჭებო. თქვენ მალე დაბრუნდებით იქ, სადაც მართლაც თქვენი ადგილია!

ახლა კი ევროპის ჩემპიონატს დავუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვა ჭვაროსანთა მერვედფინალს შევაწიოთ.

**ესპანეთმა ჩვენთან შედარებით ორი დღით მეტი დაისვენა ისევე, როგორც ჯგუფური რაუნდის ბოლო ტურში, როცა ალბანეთთან ძირითადი ბირთვი შეცვალა.**

**იტალიის ფიასკოს შემდეგ კიდევ ერთი გრანდის გავარდნა კომერციული თვალსაზრისით ტურნირის ორგანიზატორთა ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა.**

**რაც შეეხება ფრანგ მსაჯ ლეტისიეს, კიტეიშვილის ტრავმის გამო თამაში უნდა შეეჩერებინა და მორატაზე ოფსაიდი დაეფიქსირებინა, ხოლო მანამდე მიქაუტაძის საპენალტო სიტუაცია მინიმუმ ვიდეოგამეორებით შეემოწმებინა.**

## ◎ ტრიუმფი

# კურორტის სახელით!



**ქართული სპორტის აღორძინების შეუქცევადი პროცესი გრძელდება და აღსანიშნავია, რომ ჩვენი საამაყო „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები უმაღლეს მწვერვალებს თანდათან ისეთ სახეობებში ლაშქრავენ, აქამდე მათთვის უცხო ხილს რომ ვუწოდებდით.**

წინა ნომერში სიხარულით უკვე გაუწყეთ 17 წლის მანდილოსან ფალავან **მირანდა კაპანაძის** ტრიუმფზე, რომელიც პირველი ჭვაროსანია, თანატოლთა შორის სერბეთში გამართული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის ოქრო რომ მოიხვეჭა. და აი, კიდევ ერთი „სამაღარიჩო“ სიახლე!

ამ დღეებში სლოვაკეთის დედაქალაქმა ბრატისლავამ კადეტთა კონტინენტის პირველობას უმასპინძლა, სადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადგომით 3 წყალტუბოელი მკლავჭიდელი გაემგზავრა.

ვაჟთაგან განსხვავებით, პრესტიჟულ ფორუმზე ფურორი **ლევან შვანგირაძის** 15 წლის შეგირდმა, ყოფილმა ძალოსანმა **ქრისტინე ჟორჟოლიანმა** მოახდინა, რომელმაც 60 კგ წონითი კატეგორიის ცაციათა ფინალში თურქი მეტოქე დაჯაბნა და სამშობლოში ოქროთი ბრუნდება, მემარჯვენეთა სატიტულო ბრძოლა კი მსაჯთა დაუდევრობით დათმო უნგრეთის წარგზავნილთან და კოლექცია საპატიო ვერცხლით გაიმდიდრა.

სახელოვანი კურორტის გვირგვინოსან ტალანტს მორიგი სერიოზული საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება 15 აგვისტოს მოლდოვაში დანიშნულ ამავე ასაკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოუწევს და გვწამს, რომ იქაც ღირსეულად იასპარეზებს.

## ◎ ყოჩაღ!

# გაბედული გაბედავა



**ამ დღეებში სლოვაკეთში კიდევ ერთხელ აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი ახალგაზრდა ფოთელი ნიჩბოსნის გია გაბედავას დიდი წარმატების აღსანიშნავად.**

მას ბადალი არ ჰყავდა 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის 200-მეტრიან დისტანციაზე ერთადგილიანი კანოეთი ფინალურ გაცურვაში (39.980).

**ვულოცავთ!**

## ◎ ჩემპიონთა ლიგა

# სლოვაკეთის გავლით




**როგორც მოგეხსენებათ, შარშან საკალათბურთო ევროტურნირზე თსუ-მ ითამაშა, წლეულს კი საქართველოს სპორტულ ღირსებას ჩემპიონთა ლიგაში ქვეყნის მოქმედი გვირგვინოსანი ქუთაისი დაიცავს.**

თუ საკვალიფიკაციო რაუნდის მეოთხედფინალში **კოტე ტუღუშის** გუნდი სლოვაკურ ლევიცეს მოუგებს, შემდეგ ეტაპზე ტალინის კალევს შეხვდება, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ფიბა-ევროპის თასზე გადაინაცვლებს.

## ◎ ლეგენდა

# ანტიკური გოლიათივით



**ფალავანთა საბუდარში შეუბღალავი ავტორიტეტით სარგებლობს ავჭალელი გოლიათი ლერი ხაბელოვი, რომელიც 2012 წლიდან საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ღირსეულად თავკაცობს და მალე პარიზის თამაშებისკენ გაუძღვება ჭვაროსანთა დელეგაციას.**

თავიდან მუსიკაზე დადიოდა და ჩასაბერ ინსტრუმენტებზე უკრავდა, მაგრამ 10 წლისამ თავისუფალი ჭიდაობა დააჭაშნიკა, რამაც **ვანო ნიკოლაძისა** და **ლადო მესტვირიშვილის** საყვარელი შეგირდის არჩევანი საბოლოოდ განსაზღვრა.

ხალიჩის დიდოსტატებთან ილია მატესთან, პიოტრ ნანიევთან, ასლანბეკ ბისულთანოვთან და ასლან ხადარცევთან უმძაფრეს კონკურენციაში გამობრძმედილ ტალანტს დიდი შრომის ფასად არ გასჭირვებია საერთაშორისო სარბიელზე იმ ტიტულების მოხვეჭა, არა მარტო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში, არამედ საერთოდ სპორტულ სამყაროში რომ დაუმკვიდრა სწორუპოვარი ათლეტის სახელი.

მსოფლიოსა და ევროპის ოთხ-ოთხგზის, საბჭოთა კავშირის სამგზისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის, აგრეთვე მსოფლიოს თასის მფლობელის კარიერას გვირგვინად ბარსელონის ოლიმპიური ოქრო ადგას, თუმცა არანაკლებ დასაფასებელია წინა – სეულის თამაშებზე გაწყვეტილი(!) კუნთით მოპოვებული ვერცხლი, რაც თვალნათლივ მეტყველებს მის მებრძოლ სულზე.

რაც შეეხება კატალონიის დედაქალაქში მომხდარ ფაქტს, როცა ფლაგშტოკზე რუსული დროშის გამოჭიმვის გამო პროტესტის ნიშნად დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობაზე უარი თქვა, რის შემდეგაც ორგანიზატორებმა საქართველოს მაშინდელი სამფეროვანი დროშა ააფრიალეს, საამაყოდ თაობებს ეყოფათ.

უკვე 60 წლის ლეგენდარული მამულიშვილის მრავალჟამიერი იყოს!

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

## ◎ ოვალური ბურთი

# ამჯერად – მეხუთეზე



**საქართველოს 7-კაცა მორაგბეთა ნაკრებმა გერმანიაში, ჰამბურგში გამართული რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი მე-5 ადგილზე დაასრულა.**

ქართველმა მორაგბეებმა ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ესპანეთის ნაკრები 17:12 დაამარცხეს, მეორე შეხვედრაში კი ლიეტუვას 10:7 სძლიეს. შემდეგ საქართველოს ნაკრები გერმანიასთან 0:28 დამარცხდა და მეოთხედფინალში მეტოქედ პორტუგალიის ნაკრები ერგო.

მეოთხედფინალური მატჩი პორტუგალიასთან ძალიან დაძაბული გამოდგა, თუმცა სამწუხაროდ, საქართველოს 7-კაცა მორაგბეთა ნაკრები 14:21 დამარცხდა და უკვე მე-5-მე-8 ადგილებისთვის შეხვედრაში ბელგიას დაუპირისპირდა, რომელიც 10:7 დაამარცხა და მე-5 ადგილისთვის შეხვედრაში თამაშის უფლება მოიპოვა. ტურნირზე გამართულ ბოლო მატჩში ქართველი მორაგბეები იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ, 14:12 დაამარცხეს და მე-5 ადგილი დაიკავეს. ტურნირის გამარჯვებული ირლანდიის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში საფრანგეთი 19:14 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ხორვატეთში გამართულ ეტაპზე საქართველომ მე-4 ადგილი დაიკავა.

## ◎ სანქცია

# პროტესტის ნიშნად

**საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პარიზი 2024-ზე ძიუდოს ტურნირში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 4 სპორტსმენს მიანიჭა, რამაც რუსეთის ძიუდოს ფედერაცია გააღიზიანა და გადაწყვიტა, ოლიმპიურ თამაშებზე არცერთი მათგანი არ გაუშვას.**

ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშებზე მიწვევა 17 რუსი სპორტსმენიდან მხოლოდ 4-ს, **ვალერი იენდოვიცკის, მახამადგეკ მახამადბეკოვს, ელის სტარცევას** და **დალი ლილუაშვილს** გაუგზავნა. რუსეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის, **სერგეი სალავეიჩიკის** განცხადებით, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოს ტურნირში საერთოდ არ იჭიდაონ.

სალავეიჩიკის მტკიცებით, რუსი სპორტსმენების გარეშე ტურნირი შესუსტდება და ჩემპიონები ამით ბედნიერები ვერ იქნებიან, თუმცა ფაქტია, ოლიმპიური კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას აღარ გადათქვამს და პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოს ტურნირი რუსი სპორტსმენების გარეშე გაიმართება.

პარიზის ოლიმპიური თამაშების ძიუდოს ტურნირი 27 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება.



# წინამორბედ ფეხბურთელთა გაკვალული გზა მეტსაც შეგაძლებინებთ, ბიჭებო!

**გერმანიაში დატრიალებული გოლიათამინდელი მისი უდიდებულესობა ქართული ფეხბურთის წარმატების ამბავი, სულაც არ მიმაჩნია შემთხვევითობად. პირიქით, ეს მოვლენა სრული კანონზომიერების შედეგი გახლავთ...**

* * *

**ვინა ვართ, რანი ვართ და საიდან მოვდივართ?!**

რატომ გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოში მაშინ, როცა მის გარშემო არსებულ ქვეყნებში ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსვლიათ?!

რატომ დაიწერა ,,ვეფხისტყაოსანი“ მაინცდამაინც საქართველოში?!

რატომ გვყავს პროცენტულად ყველაზე მეტი გამოჩენილი სპორტსმენი?!

გვყავს დედამიწაზე ყველაზე ძლიერი ადამიანი? – გვყავს! იგი აგერ 10 წელია, არავის უთმობს ამ ტიტულს, მისი სახელი ლაშა ტალახაძეა. რატომ გვყავდა წლების განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში?! – ჩვენ ხომ დედამიწის მოსახლეობის ნახევარი პროცენტიც არა ვართ, – სამაგიეროდ, გული გვაქვს დიდი, მისწრაფება გვაქვს დაუოკებელი და მთის არწივისა არ იყოს, საკუთარი ნისკარტის ბოლოს 200-ჯერ გადიდებულს ვხედავთ.

დიახ, ეს ისე, იუმორისთვის. სინამდვილეში, ასე გეტყოდით. – ჩვენი ზრახვების ეროვნული დვრიტა, დიახაც ძნელად ასახსნელი ფენომენია.

ამას წინათ, წალენჯიხაში საფეხბურთო აკადემია ჩამოყალიბდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ამ კეთილი წამომწყების თავკაცს, ბატონ მამუკა ხაზარაძეს. მე ამ აკადემიის ბიჭუნების გუნდის თამაშს დავესწარი. ცას სწვდებოდა ჩემი სიხარული. ეს ნორჩი ჭაბუკები, მართლაც და რა გასაოცარ უნარს ავლენენ ბურთის ტარებისას. მე, არ გამკვირვებია მათი წარმატება, პირიქით, მეტს, მეტს და კვლავაც მეტს მოვითხოვ სამომავლოდ, და არა მარტო წალენჯიხაში.

აკადემია ქართველისათვის არასდროს ყოფილა უცხო სიტყვა. ჩვენ მხოლოდ ფაზისში, გელათსა და იყალთოში არ გვქონია აკადემიები.

რა მოხდა ამჟამად გერმანიაში ევრო-24-ზე ფეხბურთში?! კერძოდ, ბუნებრივი იყო თუ არა თურქებთან დამარცხება?

დიახ, ეს ბედისწერის მარცხი იყო. ქართული ფაქიზი სული ძნელად ჰგუობს ყოყლოჩინურ და თავხედურ დამოკიდებულებას. თურქები კი, ამ თვალსაზრისით სამაგალითონი გახლავან.

პორტუგალიასთან თამაშისას შევძელით გადაგვეხარშა რონალდოს ყოყლოჩინობა. მართალია, ის სამაგალითო ფეხბურთელია, მაგრამ ავსებს კი ჭეშმარიტი ადამიანობის ჩარჩოს?!

მე კარგად ვიცნობდი მიხეილ მესხს. მისი და მისი თანაგუნდელების ყველა თამაში მახსოვს და ამასთან ერთად მათი ზრდილობაც აღმაფრთოვანებდა.

აი, რატომ გავიმარჯვეთ!

ჩვენ გამარჯვებებში და სამომავლო წარმატებებში უჩვეულო და გასაკვირველი არაფერი არ არის. ვისაც საბჭოეთის კლანჭებში გამომწყვდეული ჩვენი საამაყო ფეხბურთელების თამაში ახსოვს – პაიჭაძის, მესხის, მეტრეველის, იამანიძის, დათუნაშვილის და სხვათა, არც კვარაცხელია გაუკვირდება, არც მამარდაშვილი, არც მიქაუტაძე და არც სხვა რომელიმე თანამედროვე ვარსკვლავი.

ფეხბურთი და საერთოდ, სპორტი ძვირი სიამოვნებაა. ამიტომ იყო, საბჭოეთის დროს ყოველთვის მოსკოვური გუნდები რომ „იმარჯვებდნენ“. თავისუფლების მოპოვების შემდეგ მოსულმა თაობამ თავად გამონახა საკუთარი ფული და გზა. ეს მათი უცხოურ გუნდებში თამაშია. თითოეული მათგანი მილიონობით ფასობს. ამიტომ მათ უკვე განაღდებული აქვთ საკუთარი სამშობლოსთვის გარჯის უფლება. ჩვენმა ფეხბურთელებმა ტოლი არ დაუდეს ჩვენს სახელოვან მეცნიერებსა და ხელოვანებს, რომლებმაც უფრო ადრე გააცნეს მსოფლიოს საქართველო და გააოცეს კიდეც...

აი, საკითხი, რომელიც ბუნებრივად მიმაჩნევინებს ჩვენს ახლანდელ წარმატებას. მოგვბეზრდა ბატონო, წართმეული თავისუფლება. საკუთარ ჯიბეზე მორგებული სახელმწიფო კანონპროექტები. მოგვბეზრდა დაბორკილი თხის მდგომარეობაში ყოფნა, ფეხის გაშლა სხვისი ჯიბის გარეშე რომ არ შეგვძლო.

ჰოდა, აი, გამოჩნდა სპორტსმენი ხალხი, სიჩაუქით გამორჩეულები და დაუმორჩილებლები, რომლებიც ბევრს გაგვაკვირვებენ თავიანთი გამჭრიახი გადაწყვეტილებებით, აზროვნებით, მიზანსწრაფულობით.

მაგალითად, მე, ვერაფერს ვხედავ ჩვენს ფეხბურთელებში უჩვეულოს. პირიქით, წინამორბედების გაკვალულ მადლიან გზას მიჰყვებიან.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბიჭებო!

**დავით ასკურავა,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**
**მუხრანი-თბილისი**

# წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღე

**წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღე და ქალაქის მთავარი დღესასწაული წმინდა შალვა ახალციხელის სახელობის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვით დაიწყო, რომელიც ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ და რიმნიკის მთავარეპისკოპოსმა ბარსანუფმა აღავლინეს.**

„ახალციხელობა 2024” საზეიმო ღონისძიებებით გაგრძელდა ახალციხის ციხეზე, სადაც მოეწყო ადგილობრივი მხატვრებისა და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სპორტული და გასართობი აქტივობები, ახალგაზრდული თამაშები, ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი.

ახალციხელებს და ქალაქის სტუმრებს დღესასწაული მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ, რიმნიკის მთავარეპისკოპოსმა ბარსანუფმა, საქართველოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ შოთა როსტიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლომიძემ.

ღონისძიებაზე დასახელდნენ საპატიო ახალციხელები, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის 2024 წლის საპატიო ახალციხელის სტატუსი მიენიჭათ ნიკოლოზ ვაშაყმაძეს, ზოია ბალიაშვილს და ასთხიკ მეიტარჯიანს.

დაჯილდოვდნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიატებიც. სტიპენდია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 33-მა წარჩინებულმა სტუდენტმა მიიღო. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სტიპენდიატებს სერტიფიკატები გადასცეს, სწავლაში მიღწეული შედეგები მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს მერიისგან 500 ლარის ოდენობით სტიპენდია ჩაერიცხა.

ქალაქის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გალა კონცერტითა და საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა. კონცერტი თემურ ყვითელაშვილმა საქართველოს ეროვნული ჰიმნით გახსნა. ახალციხელი მაყურებლის წინაშე წარდგნენ თემურ და რომა რცხილაძეები, კომპოზიტორ-შემსრულებელი ზაზა კილასონია, გიორგი ცხადაძე და ბენდი 4+2.



# ,,ბოლოკას“ მონუმენტი სენაკში



**საზოგადოებას ახსოვს რეზო ჩხეიძის ფილმი – შედევრი „ღიმილის ბიჭები“, სცენარის ავტორი სულიკო ჟღენტი, კომპოზიტორი – სულხან ცინცაძე.**

**ფილმი ეძღვნება ფაშიზმთან ბრძოლის ეპოპეას. სკოლის მერხიდან ახლად აფრენილი თბილისელი ბიჭები მეორე მსოფლიო ომში პირველსავე დღეებში აღმოჩდნენ. ჩაიცვეს მეომრის ფარაჯა და გუშინდელი ღიმილიანი ბიჭები აქტიურ მებრძოლებად იქცნენ.**

ფილმში დასამახსოვრებელ როლებს ასრულებენ კახა ქორიძე, ლეილა ყიფიანი (ნათელა), თამაზ თოლორაია (ლევანი), ნუგზარ ბაგრატიონი (ჭკუისკოლოფა), გოჩა ლომია (ბოლოკა) და სხვები.

დიდი თეატრალური წარსულის მქონე სენაკში დაიბადა გოჩა ლომია, რომელმაც შექმნა „ბოლოკას“ დასამახსოვრებელი სახე. მან გარდა ამ ფილმისა მონაწილეობა მიიღო „ნერგებში“ და „მოხეტიალე რაინდებში“.

გოჩა ლომია როგორც თავად იხსენებდა, 15 წლის იყო, როდესაც „ღიმილის ბიჭებს“ შორის, შემთხვევით აღმოჩნდა: ,,მიმიყვანეს პიონერთა სახლში. თუ განათლების დარგში ვინმე რამეს წამოადგენდა რაიონის მასშტაბით, ყველა იქ დამხვდა. კინოში გადაღება გინდაო? – მკითხეს. ეგ ვის არ უნდა-მეთქი, ვუპასუხე. აბა, ლექსი წაგვიკითხეო. ლექსს ვერა და თუ გინდათ, ანეკდოტს მოგიყვებით-მეთქი, გამოვუცხადე და მოვხსენი გუდას პირი. ჯერ იცინეს, მერე სიცილისგან იტირეს... ამ დღიდან 2 კვირის თავზე, თბილისში ჩამოვედი, სინჯებზე. კახა ქორიძესთან ერთად ჩამაწერინეს რამდენიმე სცენა და მალევე მახარეს, როლზე დაგამტკიცესო. დაჯერება მიჭირდა, სიხარულისგან დავფრინავდი

...ადამიანის სიცოცხლე მარადიული არ არის, გოჩა ლომია 69 წლის ასაკში მშობლიურ სენაკში გარდაიცვალა და პატივით გააცილეს სამუდამო სასუფეველში

საზოგადოებას დარჩა კეთილი მოგონება პიროვნებაზე, რომელმაც კინოში და ცხოვრებაში გარკვეული დადებითი კვალი დატოვა. მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა ინიციატივით. სენაკის მერიამ (ვახტანგ გადელია) სისრულეში მოიყვანა თხოვნა – ქალაქის ცენტრში ახლად შექმნილ სკვერში დაიდგა ,,ბოლოკას“ მონუმენტი.

ეს გახლავთ მადლიერების გამოხატვა, რომელიც გვეხმარება წარსულთან კავშირის დამყარებაში, რომ ჩვენს წარმოსახვაში გაცოცხლდეს შთამბეჭდავი წარსულის ეპიზოდები...

მადლიერებას ჯადოსნური მიზიდულობის ძალა აქვს.

გოჩა ლომიას მიერ შექმნილი „ბოლოკას“ სახე მარად დარჩება ფაშიზმის წინააღმდეგ გულანთებული მებრძოლი ახალგაზრდის მარადიულ სიმბოლოდ.

მონუმენტი (ავტორი ირაკლი ჟვანია) გახლავთ კარგი არქიტექტურული შენაძენი სენაკისთვის.

**ბორის დავითაია,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე,**
**აკ. წერეთლისა და**
**ალ. ყაზბეგის პრემიის ლაურეატი.**

## არდავიწყება

# დავით თავხელიძე




**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით თავხელიძე.**

დავით თავხელიძე დაიბადა 1946 წელს ქალაქ თბილისში. 1967 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. 1968-1971 წლებში იყო მოსკოვის მანქანათმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი. 1971-1987 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათა ნაწილების კათედრის დოცენტი, ხოლო 1975-1976 წლებში – სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერ-სტაჟიორი. 1986 წელს დავით თავხელიძეს მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1987–2005 წლებში იყო სტუ-ის მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კათედრის გამგე, 2005–2008 წლებში – ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, 2008 წლიდან დღემდე დავით თავხელიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტს, იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

პროფესორი დავით თავხელიძე 2009 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული საინჟინრო მეცნიერებათა განვითარების საქმეში, კერძოდ, მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ბერკეტული მექანიზმების კინემატიკური და დინამიკური ანალიზი და სინთეზი; სამრეწველო რობოტების ამსრულებელი მექანიზმების დინამიკური ანალიზი და სინთეზი; მცირე ელექტროსადგურებისათვის ორმაგი ქმედების ჰიდროტურბინების, მცირე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური დანადგარების დაპროექტება, შექმნა და დანერგვა; ოპტიკურ-ბოჭკოვანი სენსორების გამოყენების ბაზაზე მეტალო-კონსტრუქციების, მუდმივი მონიტორინგისათვის განკუთვნილი დანადგარების შექმნის საფუძვლების დამუშავება. გამოქვეყნებული აქვს 116 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20 საავტორო მოწმობა და პატენტი, 7 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. 1998 წლიდან ინტენსიურად მუშაობდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული რიგი სამეცნიერო პროექტების შესრულებაზე. (**BENE-BUS, ENERGIA, AFORO, LIRIC, FERBEV, EQUASER, ENGITEC** და **SUAFRI-EPC**).

დავით თავხელიძე იყო რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის წევრი, მათ შორის – ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსი, მექანიზმებისა და მანქანების თეორიის საერთაშორისო ფედერაციის **IF-ToMM** წევრი და სხვა.

დავით თავხელიძეს მიღებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1886 წ); დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და ღირსების მედლით საქართველოში ტექნიკური მეცნიერების განვითარებისა და საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის.

დავით თავხელიძის, როგორც ცნობილი მეცნიერის, პედაგოგის და კარგი პიროვნების ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების მეხსიერებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილი მეცნიერის, პროფესორ დავით თავხელიძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე მწუხარებას გამოთქვამს საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერის, სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენისა და ღირსების მედლის კავალერის, პროფესორ დავით თავხელიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებსა და აღზრდილებს.**

**რექტორის სამძიმარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სამეცნიერო და აკადემიური წრეები, თანამშრომლები და სტუდენტები უერთდებიან.**

**ვეთხოვებით** ცნობილ მეცნიერს, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელს, უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ყოფილ დეკანს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენისა და ღირსების მედლის კავალერს, მექანიზმებისა და მანქანების თეორიის საერთაშორისო ფედერაციის (**IFTOMM**) წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსს, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო წრეებში ფართო აღიარების მქონე მკვლევარს, საყვარელ კოლეგასა და მეგობარს, პროფესორ **დავით თავხელიძეს.**

ბატონი დავით თავხელიძე ერთგულად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას, ჩვენს ალმა-მატერს და ათეული წლების განმავლობაში ჩართული იყო მნიშვნელოვან კვლევით პროექტებში, ღირსეულად აგრძელებდა მამის, სასიქადულო მეცნიერის, დიდებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, მანქანათა მექანიზმების თეორიის დარგში საქვეყნოდ აღიარებული ქართული სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის – იმჟამინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის – გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათა ნაწილების კათედრის ხელმძღვანელის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, დავით თავხელიძის სამეცნიერო გზას, რომელიც კარგად არის ცნობილი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ბატონი დავით თავხელიძის მამა სათავეში ედგა სივრცითი და სფერული სახსროვანი მექანიზმების კვლევისა და შესწავლის ურთულეს საქმეს, რომელიც დღეს ერთ-ერთი მოწინავე მიმართულებაა მეცნიერებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი დავით თავხელიძის დედაც, მარი ლაფერაშვილი, ჩვენი უნივერსიტეტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის პროფესორი, დამსახურებული პედაგოგი, არაერთი სახელმძღვანელოს და ნაშრომის ავტორი და მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელი იყო.

თავისი ნიჭის, შეუპოვრობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ბატონი დავით თავხელიძე არ დარჩენილა სახელოვანი მამის ჩრდილქვეშ. ფასდაუდებელია მისი ნაშრომები სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვის მიმართულებით, როგორიცაა: მრავალრგოლიანი ბერკეტული და სამრეწველო რობოტების შემსრულებელი მექანიზმების კინემატიკური და დინამიკური ანალიზი და სინთეზი; მცირე ელექტროსადგურებისთვის ორმაგი ქმედების ჰიდროტურბინების დაპროექტება და შექმნა-დანერგვა; მცირე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების დაპროექტება-დანერგვა; ოპტიკურ-ბოჭკოვანი სენსორების გამოყენების ბაზაზე მეტალო-კონსტრუქციების, მუდმივი მინიტორინგისთვის განკუთვნილი დანადგარების შექმნის საფუძვლების დამუშავება და ა.შ. დავით თავხელიძის ავტორობით გამოქვეყნებულია 116 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორისაა 20 საავტორო მოწმობა და პატენტი, 7 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო.

ნაყოფიერი იყო დავით თავხელიძისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მრავალწლიანი თანამშრომლობა ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (**CERN**), სადაც, **ATLAS** ექსპერიმენტის ფარგლებში, მან მონაწილეობა მიიღო მცირე დამცავი დისკოების შექმნის ხანგრძლივსა და მაღალი სიზუსტის საპროექტო სამუშაოებში. პროფესორ დავით თავხელიძის თაოსნობით დაპროექტებული და დამზადებული დამცავი დისკოები **CERN**-მა დიდ ადრონულ კოლაიდერზე დაამონტაჟა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური წრეების, თანამშრომლებისა და სტუდენტების სახელით, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ პროფესორ დავით თავხელიძის გარდაცვალების გამო, სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს, უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტს, მის სტუდენტებსა და აღზრდილებს. უფალმა გაუნათლოს სასუფეველი, – აღნიშნულია რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის სამძიმარში.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

### დავით თავხელიძე

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**პანაშვიდი** 3 ივლისს, 16 საათიდან; **მისამართი:** ჭავჭავაძის N9, **გამოსვენება** 4 ივლისს, 15 საათზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან, კოსტავას 68.**

---

**საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

### დავით თავხელიძე

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## სულთათანა

# ნათელა ფიფია



### გვიჭირს უშენობა, ძალიან გვენატრები...

**სულ მალე გარდაცვალებიდან 40 დღე გაილევა ღვაწლმოსილი და აღიარებული, ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ნათელა (ციცა) ფიფია-ხუჭუას გარდაცვალებიდან.**

გარეგნობით და სულიერი სილამაზით შემკულმა პიროვნებამ ცხოვრების შინაარსიანი და წარმატებული გზა გაიარა.

დაიბადა 1945 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში. 1963 წელს რუხის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო რუხის კოლმეურნეობის მეჩაიედ და მალე გახდა მოწინავე და მისაბაძი ახალგაზრდა. სულ მალე მას ირჩევენ რესპუბლიკაში ცნობილი რუხის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. პარალელურად არჩეული იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და ზუგდიდის კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრად.

1966 წელს მუშაობისგან მოუწყვეტლივ ირიცხება და დაუსწრებლად ამთავრებს ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტს აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობით.

1971 წლიდან მას აწინაურებენ ზუგდიდის კომკავშირის რაიკომში და ირჩევენ რაიკომის მდივნად და ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატად. 1976 წლიდან თითქმის 13 წლის განმავლობაში იყო პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან გამოავლინა ნიჭი, უნარი, მონდომება და დიდი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისა. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით მრავალ დღესასწაულს ჩაეყარა საფუძველი, როგორიცაა „იონაობა“ სოფელ ცაიშში; „დედის დღე“, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, აფხაზებსა და ქართველებს შორის „მეგობრობის ზეიმი“ სოფ. რუხში.

1989 წელს იგი მუშაობს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. შემდგომ ზუგდიდის პრეფექტურაში, რაიონულ გამგეობაში და ბოლოს სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტში.

მისი აქტიური მუშაობიდან და შესანატრი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ქალბატონ ნათელას დაფასება და აღიარება არასოდეს აკლდა, მაგრამ მისადმი ყველას მიერ გამოხატულ სიყვარულს და მოწონებას არც ერთი ჯილდო არ შეედრება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და ღირსების ორდენებით, სხვა ჯილდოებით.

ქალბატონმა ნათელამ ორივე ხელისუფლების პირობებში ისე იმუშავა, რომ უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, როგორც საზოგადო მოღვაწემ, მიუძღვნა ქვეყნის, ზუგდიდის და ხალხის კეთილმსახურებას. იგი ყოველთვის მზად იყო, გვერდით დასდგომოდა მათ, ვისაც თანადგომა და დახმარება სჭირდებოდა. იგი მოაზროვნე, ლამაზად მეტყველი, სამართლიანი, მომთხოვნი და მიმტევებელი, მთელი ცხოვრება იყო სამაგალითო მეგობარი, ოჯახის, ნათესავებისა და მეზობლების საიმედო საყრდენი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ეკლესიურობა, ჭეშმარიტი ქრისტიანობა, ხშირად ეზიარებოდა, იყო აქტიური მრევლი, მლოცველი და ზუგდიდის ვლაქერნის ტაძრის მეფსალმუნეთა ჯგუფის წევრი 24 წლის განმავლობაში.

სიცოცხლის ბოლო წლებში ოჯახური მდგომარეობის გამო იგი ცხოვრობდა სამტრედიაში (მელაური), სადაც დავანებულია ცნობილი ინჟინერ-ჰიდრომშენებელი, შესანიშნავი პიროვნება, გულიანი, ახოვანი, სიკეთით სავსე ნათელა ფიფიას დიდი სიყვარული და მეუღლე ზურაბ ხუჭუა, რომელთანაც მხოლოდ 15-წლიანი თანაცხოვრება ჰქონდა. მათ ჰყავთ ორი სასახელო შვილი: ნესტანი, რომელიც არის უკვე ცნობილი და საყვარელი ექიმი-სტომატოლოგი, ზაალი – იურისტი, მეუღლე გვანცა აბსანძესთან ერთად, შვილიშვილები სალომე და თამარ სოსელიები, შეუდარებელია მესამე შვილიშვილი თამარ ხუჭუა, რომელიც 10-წლიანი ლოდინის შემდეგ მოევლინა ქვეყანას და უდიდესი სიხარული არგუნა ყველას, განსაკუთრებით ნათელა ბებიას.

ძალიან დასანანია, რომ თავისი კდემამოსილებით, უბრალოებით, თბილი და გამორჩეული დადებითი თვისებების მქონე ქალბატონმა ნათელამ ადრე დაგვტოვა და ბოლო დროს მძიმე ავადმყოფობით დატანჯულმა, მაგრამ უფალთან და ღმრთისმშობელთან ახლოს მყოფმა გადაინაცვლა მარადისობაში. ზუგდიდელებმა და სამტრედიელებმა დიდი გულისტკივილით და ცხარე ცრემლებით გააცილეს იგი.

ნათელასნაირ ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ, მისი ეკლესიურობიდან გამომდინარე, იმედია, იგი მეუღლე ზურაბთან ერთად დაიმკვიდრებს ნათელ და წმინდა ადგილს ახალ სავანეში.

თქვენი ხსენება იყოს აწ და მარადის!..

**უახლოესი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები და მეფსალმუნეთა ჯგუფის წევრები.**

# მათი ღვაწლი მსგავსია



**4 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმიდა დიდმოწამეებს არჩილს და ლუარსაბს იხსენიებს.**

ცნობილია, რომ მეფე არჩილი (744 წ) ქუთაისში იავარქმნილი ქვეყნის აღორძინებას შეუდგა. თორმეტი წლის შემდეგ ქართლში გადმოვიდა, კახეთიც შემოიერთა, მთიანეთიც, ეგრისიც, აფხაზეთიც და სამცხე-ჯავახეთიც.

მურვან ყრუსგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ ასიმმა კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისკენ აიღო. არჩილ მეფე ეახლა ჭიჭუმს მშვიდობის სათხოვნელად. სტუმარი დიდებულად მიიღო, მაგრამ ბოლოს მაცხოვნებელი სჯულის დატოვება მოთხოვა... პასუხად უარი მიიღო, რის შედეგად მისი მოკვდინება ბრძანა.

* * *



**მეფე ლუარსაბი ტახტზე 1606 წელს ავიდა. ამ დროს შაჰ-აბასმა თურქებს აღმოსავლეთ საქართველო წაართვა. გაბრაზებულმა თურქებმა ყირიმელ თათრებთან ერთად გადამწყვეტი ლაშქრობა მოაწყვეს... ქართველებმა მოხერხებით სძლიეს მათ.**

...გავიდა ხანი. ქართლსა და კახეთს სპარსელები დაეპატრონენ. შაჰმა ჯერ დაინათესავა ლუარსაბი, შემდეგ ქრისტეს უარყოფა და ალაჰის აღიარება უბრძანა. ლუარსაბმა ქრისტე არ უარყო და პასუხად იგი მოაშთეს.

წმიდა არჩილის და ლუარსაბის ღვაწლს თითქმის 1000 წელი აშორებს. მაგრამ მათი ხსენება ეკლესიამ ერთ დღეს დააწესა!

**გიული ლიპარტია**

# ტრაგედია ბოლნისში

**ბოლნისში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომელსაც ერთი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა, საგამოძიებო მოქმედებები უკვე დაწყებულია.**



ადგილზე მობილიზებულნი იყვნენ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები.

როგორც თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კატასტროფის შედეგად დაიღუპა თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო სარდლობის პილოტი **კახაბერ ზურაბაშვილი.**

უწყება მწუხარებას გამოთქვამს ტრაგიკული შემთხვევის გამო და უსამძიმრებს დაღუპული პილოტის ოჯახსა და ახლობლებს.

# ჭყლეტის შედეგად ინდოეთში, სულ მცირე, 87 ადამიანი დაიღუპა

**სამშაბათს** ინდოეთის ჩრდილოეთის შტატ უტარ პრადეშში, რელიგიურ ღონისძიებაზე ჭყლეტის შედეგად 60 ადამიანი დაიღუპა.

„ამჟამად ზუსტ რაოდენობას ვერ გეტყვით, მაგრამ ეს დაახლოებით სამოცია. არსებობს შესაძლებლობა, რომ მსხვერპლი გაიზარდოს“, – განუცხადა **Reuters**-ს სატელეფონო საუბრისას მანიშ ჩიკარამ, რაიონის პოლიციის სპიკერმა.

დაშავებულია, სულ მცირე, 150 ადამიანი, ისინი საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. როგორც მედიასაშუალებები იტყობინებიან, ღონისძიებას 15000 ადამიანამდე ესწრებოდა, თუმცა მათ მხოლოდ 5000 ვიზიტორის მიღების უფლება ჰქონდათ.



როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, დამსწრეები რელიგიურ ლიდერთან, სახელად ბჰოლ ბაბასთან შეხვედრას ჩქარობდნენ და სწორედ ამას მოჰყვა ჭყლეტაც.

# შვედეთში შვილიშვილების მოვლა ანაზღაურებადი გახდა

**შვედეთში** ახალი კანონი ამოქმედდა, რომელიც ბებია-ბაბუებს შვილიშვილების მოვლისთვის ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობას აძლევს. შვებულების აღება შესაძლებელია ბავშვის გაჩენიდან სამი თვის განმავლობაში.

კანონის მიხედვით, მშობლებს შეუძლიათ, ბავშვის მოვლისთვის განკუთვნილი საკუთარი შეღავათის ნაწილი ბებიასა და ბაბუას გადასცენ.

შვედეთში სახელმწიფო შეღავათების გადახდა თითოეულ ბავშვზე 480 დღის განმავლობაში ხდება, ანუ დაახლოებით 16 თვის განმავლობაში, აქედან 390 დღის კომპენსაცია გამოითვლება პირის სრული შემოსავლის საფუძველზე, ხოლო დარჩენილი 90 დღის განმავლობაში იღებენ ფიქსირებულ თანხას – 180 კრონს, რაც დღეში 17 დოლარია.

შვედეთი იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც მშობლის ფასიანი შვებულება მამებისთვისაც შემოიღო.


## განცხადება

კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას. დღის წესრიგი: კოოპერატივის მიერ სოლიდარული თავდებობის აღების საკითხის განხილვა.

კრება ჩატარდება 2024 წლის 26 ივლისს, 10 სთ-ზე მისამართზე:
ზუგდიდი, სოფ. ინგირი, თამარ მეფის ქ.16

## ვულოცავთ!

## მეგობრობის ეტალონი მართლაც რომ ავთანდილობს!



**კაცი რომ სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხანგრძლივად და ნაყოფიერად იმოღვაწებს და კეთილსინდისიერი პროფესიონალის იმიჯს შეინარჩუნებს, სატრაბახოდ მთელ მის შთამომავლობას ეყოფა.**

ალბათ, ამიტომაც გვეძვირფასება ეგრისელებს მეგობრობის ეტალონი, უანგარობით, რაინდული სულისკვეთებით გამორჩეული დიდი ქართველი, სენაკსა და სენაკელებზე უსაზღვროდ შეყვარებული ჩვენი ძვირფასი თანამედროვე, მისაბაძი მამა და ოჯახის თავკაცი, მრავალი ახალგაზრდა ჩეკისტის აღმზრდელი და დამკვალიანებელი, შესანიშნავი ორგანიზატორი, კოლორიტული თამადა **ავთანდილ გესელია.**

სასახელო მშობელთა ღირსეულ შვილს დიდი პატივისცემითა და მადლიერებით ვულოცავთ 80 წლის იუბილეს.

მრავალჟამიერ, ძმობილო!

საუკეთესო სურვილებით,

**ბადრი ბარკალაია, გია მიქაია.**

## კულტურის ისტორიის მუზეუმს მოგზაურთა ყველაზე პრესტიჟული ჯილდო „მოგზაურთა არჩევანი“ გადაეცა

**საქართველოს ხელოვნების სასახლე მორიგი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა – ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორი, ისტორიკოსი გიორგი კალანდია წერს.**




– კულტურის ისტორიის მუზეუმს მოგზაურთა ყველაზე პრესტიჟული ჯილდო "მოგზაურთა არჩევანი" (`Travelers~ Choice) გადაეცა. ეს საერთაშორისო პრიზი მსოფლიოს ყველაზე დიდი სამოგზაურო ამერიკული საიტის Tripadvisor-ის მიერაა დაწესებული და წელიწადში ერთხელ გაიცემა. „მოგზაურთა არჩევანი" ეს არის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული – „ხარისხის სერტიფიკატი", რომელიც ენიჭებათ ორგანიზაციებს დამთვალიერებელთა და მოგზაურთა შთაბეჭდილებების საფუძველზე. „მოგზაურთა არჩევანის" ლაურეატები შედიან მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროების, რესტორნებისა და ღირსშესანიშნაობების იმ 10 პროცენტში, რომლებმაც სტუმართმოყვარეობის ყველაზე მაღალი ხარისხი გამოავლინეს... წერს გიორგი კალანდია.

## გელათის სამონასტრო კომპლექსი დროებით დაიკეტა



**გელათის** სამონასტრო კომპლექსი ვიზიტორებისთვის 2 ივლისიდან დაიკეტა. შეზღუდვა 15 აგვისტომდე იმოქმედებს. ტაძრის დაკეტვის შესახებ ინფორმაცია საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა.

არსებული ინფორმაციით, ტაძარში სტუმრების მიღება, მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში გერმანელი სპეციალისტების მოთხოვნით, შეჩერდა, რათა ვიზიტორების უსაფრთხოება იყოს დაცული.

სტუმრებს და მომლოცველებს სოფლის შესასვლელიდან აღარ უშვებენ. ადგილზე საპატრულო პოლიციაა მობილიზებული და მხოლოდ ადგილობრივებს ატარებენ.

## ვინ იმუშავებს ჰარი პოტერის სერიალზე?

**ჰარი პოტერის** სერიალზე მუშაობა აქტიურ ფაზაში შედის. როგორც ალბათ უკვე იცით, ბესტსელერი წიგნების სერიის ახალ ეკრანიზაციას Max (yofili HBO Max), სავარაუდოდ, 2026 წლისთვის შემოგვთავაზებს. იმის მიუხედავად, რომ ამ თარიღს ჯერ ორი წელი გვაშორებს, სერიალზე უკვე ბევრი რამ ვიცით. ცოტა ხნის წინ კი, HBO-მ ისიც გაამხილა, ვინ იმუშავებს მასშტაბურ, მრავალწლიან პროექტზე. მეტიც, როგორც აღმოჩნდა, სერიალის საპილოტე ეპიზოდის სცენარი უკვე დაწერილია...

ჰარი პოტერის სერიალის შემოქმედებითი ხელმძღვანელი, სცენარისტი და ერთ-ერთი აღმასრულებელი პროდიუსერი ფრანჩესკა გარდინერი იქნება. გარდინერს აქამდე ისეთ გახმაურებულ სერიალებზე უმუშავია, როგორებიცაა Succession და Killing Eve. ფრანჩესკასთან ერთად, ჯადოსნური სამყაროს მცირე ეკრანზე გაცოცხლებას შეეცდება რეჟისორი მარკ მაილოდი, რომლის ცნობილ ნამუშევრებს შორისაა Succession, Game of Thrones და The Last of Us. mailodi ასევე მოირგებს აღმასრულებელი პროდიუსერის როლს.

მათთან ერთად, აღმასრულებელი პროდიუსერი იქნება ჰარი პოტერის სამყაროს შემქმნელი, მწერალი ჯოან როულინგიც, რაც საგის ერთგულ ფანებს აძლევს იმედს, რომ პროექტი წარმატებული გამოდგება. ამასთან, სერიალის შექმნაში ჩართული იქნება დევიდ ჰეიმანიც, რომელიც პოტერიადის ფილმების პროდიუსერი იყო.

„მოხარული ვარ, გაცნობოთ ჩვენი რეჟისორისა და სცენარისტის ვინაობა", — წერს როულინგი, — „როგორც საპროდიუსერო გუნდის წევრი, მათ თავადაც გავესაუბრე; ჰარი პოტერი ორივეს ძალიან უყვარს. ფრანჩესკას საპილოტე ეპიზოდის სცენარის წაკითხვისა და მარკის ხედვის გაგების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, რომ სერიალი მოლოდინს გადააჭარბებს".

## ხელოვნური ინტელექტი პარკინსონს სიმპტომების გაჩენამდე 7 წლით ადრე პროგნოზირებს!



**ბეტინგენის** უნივერსიტეტის მკვლევრებმა ინოვაციური სისხლის ტესტი და ხელოვნური ინტელექტი შეიმუშავეს. მათ ამით პარკინსონის დაავადების პროგნოზირება შეუძლიათ. მეთოდს დაავადების პროგნოზირება სიმპტომების გამოვლენამდე შვიდი წლით ადრე შეუძლია.

პარკინსონის დაავადება, ნეიროდეგენერაციული აშლილობაა, რომელიც ადამიანებს სულ უფრო ხშირად უვითარდებათ. მისი ადრეული დიაგნოსტიკა რთულია, მაგრამ ახალ კვლევას იმედის მომცემი შედეგები აქვს.

ამჟამად პარკინსონის დიაგნოზი მოტორიკაზე დაკვირვებით ხდება. შესაბამისად, ეს ხდება მაშინ, როდესაც ტვინი უკვე მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. თუმცა, ახალ მეთოდს ამ მხრივ რევოლუციის მოხდენის პოტენციალი აქვს.

„დიაგნოზის დასმა ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ ტვინის უჯრედები სერიოზულად დაზიანდა, შემდგომში მათი აღდგენა ვეღარ ხერხდება", — ამბობს კვლევის ავტორი, პროფესორი კევინ მილსი.

დაავადების ადრეული გამოვლენა ექიმებს ბევრად ადრე ჩარევის საშუალებას მისცემს.

**Interesting Engineering**-თან მილსმა განმარტა, რომ სისხლში ახალი ბიომარკერების აღმოჩენა შეძლეს. ეს მარკერები პარკინსონის განვითარებასთანაა დაკავშირებული. რაც მნიშვნელოვანია, პროგნოზირება 100-პროცენტიანი სიზუსტით მოხდა.

კვლევა ფოკუსირებული იყო პაციენტებზე, რომლებსაც ძილის ქცევის დარღვევა (iRBD) აქვთ. iRBD პაციენტების დაახლოებით 75-80%-ს საბოლოოდ სინუკლეინოპათია უვითარდება, ტვინის ფუნქციონირების დარღვევა, რომელსაც ალფა-სინუკლეინის ცილის დაგროვება ახასიათებს. ეს ცილა საბოლოოდ პარკინსონთანაა დაკავშირებული.

მკვლევრები პაციენტებს ათი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ხელოვნური ინტელექტის პროგნოზები გამართლდა, ჯგუფმა გამოავლინა 16 ადამიანი, რომლებსაც 7 წლის შემდეგ პარკინსონი განუვითარდათ.

„ეს ნიშნავს, რომ სამკურნალო თერაპია ადრეულ ეტაპზე ჩატარდება, რამაც შესაძლოა, შეანელოს დაავადების პროგრესირება ან სულაც, თავიდან აიცილოს მისი წარმოშობა", — აღნიშნულია კვლევაში.

მილსის თქმით, იმისთვის, რომ ტესტი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს, მისი ჩატარება საჭიროა 18 თვიდან 5 წლამდე. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება დაფინანსებებზე და იმაზე, თუ რამდენად სწრაფად ჩატარდება შემდეგი კვლევები.

### უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.8016; ევრო - 3.0114;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5496;**
**100 რუბლი - 3.2100; თურქული ლირა - 0.0857;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6467;**
**1000 სომხური დრამი - 7.2206.**

### ამინდი 3 ივლისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +28 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე +29 |

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის # 116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 5 ივლისს**